პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრ ცეკომის
ორგანო

20 დეკემბერი
სამშაბათი

1919. კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდება უკრაინის მუშების და გლეხებისადმი, რომელშიაც აღნიშნულია უკრაინის მძიმე მდგომარეობა; ინტერნაციონალი მოუწოდებს მუშებს და გლეხებს დაამყარონ საბჭოთა ხელისუფლება.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 1 ტასეროთო №

№ 241 სამშაბათი, 20 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 0 დეკემბერი, 1921 წ. № 241

შესდგა და მოქმედება დაიწყო

საქართველოს საბჭოთა ყრილობის მომწვევ ცენტრალურ კომისიამ.

არა უგვიანეს 25 თებერვლისა უნდა შესდგეს საქართველოს საბჭოთა ყრილობა. ის ჩაიბარებს მთელს სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას და გახდება საბჭოთა საქართველოს ბატონ-პატრონი.

ადგილობრივი საბჭოები მშრომელთა დიქტატურის მაცოცხლებელი ფესვებია.

დაუყოვნებლივ შევუდგეთ საბჭოთა არჩევნების სამზადისს ცენტრ. კომისიის ინსტრუქციის მიხედვით!

ახლავე დავაარსოთ სამაზრო საარჩევნო კომისიები!

თბილისის და ბათუმის მუშების და წითელჯარისკაცების მაგალითს მივბაძოთ!

საბჭოებში გავიყვანოთ მხოლოდ მშრომელთა ძალაუფლების მომხრენი!

ცირკულიარულად.

ყველა რაიკომებს

პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად და გასაჯანსაღებლად, თბილისის კომიტეტმა დაადგინა გაატაროს თბილისის ორგანიზაციის ყველა იაჩეიკების გამოკვლევის კვირა.

ამ კვირის განმავლობაში რაიკომები, მობილიზაციას უშვებიან რა მიჩენილ ამხანაგებს, აგრეთვე რაიონულ ძალებს, ახდენენ იაჩეიკების გამოკვლევას, რისათვის დღის წესრიგში აყენებენ საკითხებს: იაჩეიკის წარსულ მოღვაწეობაზე, შემდგომი მუშაობის გეგმაზე (თბ. კ დირექტივების მიხედვით), იაჩეიკის პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები იქ, სადაც ეს საჭიროა) და წარმომადგენლების არჩევნები რაიონის სადელეგატო კრებისათვის (10-დან—1 დელეგატი.

გამოკვლევა უნდა დამთავრდეს 28 დეკემბრისათვის, როცა ყველა რაიონებში უნდა შესდგეს იაჩეიკების ახლად მოწყობილ სადელეგატო კრებები.

გამოკვლევის შედეგებზე რაიკომებმა უნდა აცნობონ თბილისის კომიტეტს 30 დეკემბრისათვის.

თბ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

26 დეკემბრიდან გამოვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტეტის

ახალი სასოფლო გაზეთი

„მიწის მუშა“

თანამშრომლებათ მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

1) ფ. მახარაძე	მიწ.-მოქმ. სახ. კომისარი.
2) მ. ორახელაშვილი	ს. კ. პარ. ც. კ. მდივანი.
3) მ. ტოროშელიძე	საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭ. თავმჯდომარე.
4) ს. ქავთარაძე	იუსტ. სახალ. კომისარი.
5) ა. ერქომაიშვილი	მომარაგ. სახ. კომისარი.
6) ბ. კვირკელია	შინ. საქ. სახ. კომისარი.
7) დ. კანდელაკი	განათლ. სახ. კომისარი.
8) გ. კუჭაიძე	ჯანმრთ. სახ. კომისარი.
9) ა. ქოქიკაშვილი	მუშ. და გლ. ინსპ. კომ.
10) ს. თოდრია	სოც. უზრუნ. სახ. კომ.
11) გ. ვაშაძე	უზენ. რევ. ტრიბ. თავმჯდ.
12) თ. კალანდაძე	ს. კომ. პარ. ც. კ. წევრი.
13) ჯ. პარკაძე	მ. და გ. ინს. კომ. კოლ. წევრი.
14) ვ. კანდელაკი	მიწ.-მოქ. კ—ტის კოლ. წევრი.
15) ი. კაკაბაძე	
16) ი. თალაკვაძე	

გაზეთი გამოვა კვირაში ორჯელ ორშაბათ-ხუთშაბათობით.

პასუხისმგებელი რედაქტორი პავლე მ. საყვარელიძე.

პარტიული ყრილობის გადადების გამო

ჩვენი პარტიის ცენტრ. კომიტეტმა პარტიული ყრილობა გადასდვა 15 იანვრისთვის. ამ დადგენილებას საპატიო მიზეზი უდევს სარჩულათ. 20 ამ თვეს მოსკოვში გაიხსნება მთელი რუსეთის საბჭოთა ყრილობა. ორი დღით ადრე რუს. კომპარტიის კონფერენცია. როგორც ყრილობას ისე კონფერენციას უდიდესი, უჩვეულო მნიშვნელობა ეძლევა დღევანდელ რუსეთის სინამდვილის მიხედვით. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შინაური და საგარეო მდგომარეობა სიმტკიცის მატარებელია, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დიდი საბჭოთა ფედერაცია არც ერთხელარ ყოფილა ასე მოსვენებული, ასე მძლავრი როგორც ახლა. მაგრამ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პრაქტიკა და ის ფერისცვალება შინაურ ურთიერთობათა, რის სარბიელია რუსეთი უკანასკნელ თვეების განმავლობაში-მოითხოვს აწონ-დაწონას, შეფასებას, შესწორებას გამოცდილების მიხედვით. აგრეთვე ის საერთაშორისო კომბინაციები, რასაც აწყობენ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები, მოითხოვენ შესწავლას და სათანადო საპასუხო გადაწყვეტილების მიღებას. საერთაშორისო პროლეტარიატის ამოძრავება, მისი ბრძოლის ახალი საფეხური, ის საბედისწერო ამოცანები, რომელიც ისტორიამ დაუყენა, მაგალითად, გერმანიის მუშათა კლასს, ისეთი ხასიათის დ მნიშვნელობის მოვლენებია, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფალნი დ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელნი ვერ აუვლიან გვერდს. როგორც კონფერენცია, ისე საბჭოთა ყრილობა ამ საკითხებს გაარკვევენ, გააშუქებენ რევოლიუციონურ თვალსაზრისით და სათანადო სახელმძღვანელო გეგმებს შეიმუშავებენ. ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლის შკოლა იქნება ეს ყრილობა ჩვენი დელეგატებისათვის.

ასეთ მნიშვნელოვან ყრილობაზე არ დასწრება, მით უფრო ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის ძმური მიპატიჟების შემდეგ, ყოვლად შეუძლებელი იყო. და ამიტომაც ჩვენი პარტიის ცეკამ გადასწყვიტა საქართველოს კომპარტიის ყრილობის ერთხელ კიდევ გადადება იმ დრომდის როდესაც ჩვენი ამხანაგები დაბრუნდებიან მოსკოვიდან.

ამხანაგები კი ბლომად გაეშურენ მოსკოვისაკენ. თბილისის საბჭომ გაგზავნა 15 თავისი წევრი, მათგან ერთის გარდა ყველა პასუხისმგებელი კომუნისტებია. თითო მაზრამ თითო სტუმარი გაუგზავნა წითელ მოსკოვს.

პარტიამ სამი დელეგატი წარგზავნა კონფერენციაზე. ასე რომ არა ნაკლებ 40 პასუხისმგებელი ამხანაგისა გამოაკლდა ჩვენს წყებებს ერთი თვით მაინც. მათი შთაბეჭდილებანი, მათი რევოლიუციონური საგზალი, რომლითაც ისინი დაბრუნდებიან, უმნიშვნელო არ იქნება ჩვენი პარტიული ყრილობისათვის და ამიტომ ცოტა მოცდა და ყრილობის გადადება აუცილებელი და მიზანშეწონილია.

მაგრამ ეს არ **ნიშნავს იმას**, რომ ჩვენ საკეთებელი **არა გვაქვს** ამ ჟამათ. პირიქით, ყრილობის ნაყოფიერება სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩატარდება სარაიონო და სამაზრო კონფერენციები, რომლებიც უკვე დაიწყო და რომლებიც უნდა მოთავდეს არა უგვიანეს 10 იანვრისა.

გადამეტებული არ **იქნება**, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ ახლა იწყება ჩვენი პარტიის ნამდვილი არსებობა და მოქმედება. გაწმენდის მოთავების შემდეგ, ჩვენ პირველათ ვიკრიბებით სამაზრო კონფერენციებზე, მაშასადამე—პირველათ ვიწყებთ სახელმწიფოს მმართველ პარტიის არსებობას. რევკომების სისტემა აქამდის დამახასიათებელი იყო საბჭოთა საქართველოს წყობილებისათვის. ადგილობრივ საბჭოთა შექმნით ჩვენ თავს ვახწევთ გარდამავალ, დროებით სისტემას და გადავდივართ პროლეტარული დიქტატურის ნორმალურ ფორმებისაკენ. ასეთივე „რევკომისებურ“ პირობებში იყო აქამდის ჩვენი პარტიაც. ახლა, როცა ჩვენი მწკრივები გადავათვალიერეთ და გავწმინდეთ, დადგა დრო პარტიის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის. პერიფერიიდან დაწყებული, სამაზრო კონფერენციებით პარტიულ ყრილობისაკენ—აი ამ ნორმალიზაციის გზა. და ეს გზა ორ-სამ კვირაში უნდა გავიაროთ.

სამაზრო კონფერენციების მოწვევა და ნაყოფიერად ჩატარება—აი ჩვენი მორიგი საკითხი.

პარტიული ყრილობა დააგვირგვინებს ამ მუშაობას და პარტიას მისცემს არჩეულს ხელმძღვანელ ორგანოს.

საგარეო ვაჭრობა და „შერეული საზოგადოებანი“

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სისტემა საგარეო ვაჭრობაში ნიშნავს იმას, რომ პროლეტარული სახელმწიფო არ აწარმოებს ყველა სავაჭრო ოპერაციებს კაპიტალისტურ ბაზართან უშუალოთ თავის აპარატით, არამედ ანდობს ამ ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს ეგრედ წოდებულ „შერეულ“ სავაჭრო საზოგადოებებს, სადაც კაპიტალისტებთან ერთათ მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მაგალითი ასეთი (უკვე არსებული) საზოგადოების ჩვენ გვაქვს „ლითონით მოვაჭრე რუსულ—გერმანული საზოგადოების“ სახით.

ორივე საზოგადოების გამგეობებში მონაწილეობას იღებენ ერთნაირათ (და საბჭოთა რუსეთი უფრო მეტათ) როგორც გერმანიის კაპიტალისტური ფირმები ისე საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციები.

მაგრამ არის თუ არა საჭიროება ასეთი საზოგადოებების მოწყობის; იქნება რუსეთს შეუძლია თავის საკუთარი ძალებით მოახერხოს საქონლის შემოზიდვა და საქონლის და ნედლი მასალის გაზიდვა უშუამავლოთ. პასუხს ამაზე იძლევა თვით საგარეო ვაჭრობის საქმე და მისი ბუნება, რომელიც მდგომარეობს ორი სხვა და სხვა კატეგორიების ორი ხელისუფლების, ორ სხვა და სხვა ნაირ სამეურნეო სისტემის დაახლოებაში და თხოულობს არაჩვეულებრივ ხერხს, პოლიტიკური და ეკონომიური პირობებისადმი შეგუების უნარს, პროფესიონალურ გამოცდილებას, რომელთა შეთვისება არც ისე ადვილია. ფულის ფასის რყევით სარგებლობა, სარგებლობა საქონლის ფასების რყევითვე, ცოდნა იმისი თუ როგორ მოახერხო კრედიტის შოვნა და სარგებლობა ამ კრედიტით—სულყოვლისფერი ეს ისეთი თვისებებია, რომლებითაც კაპიტალისტური მოგების გმირები სულ ადვილათ აჯობებენ კომუნისტებს. და მართლაც საგარეო ვაჭრობა ხომ იმაში არ მდგომარეობს, რომ აიღო და უბრალოთ გაცვალო რუსეთის საქონელი უცხოეთის ამა თუ იმ საქონელშივე—არამედ მასთან დაკავშირებულია მრავალფეროვანი სხვა და სხვა ოპერაციები როგორც მაგალითად ოპერაციები სავალიუტო, საკრედიტო, სატრანსპორტო, დაზღვევის და სხვ. ყოველივე ამის მინდობა სუსტათ—მოწყობილ და გამოუცდელ საბჭოთა აპარატისთვის ნიშნავს, ერთი მხრით, შეუძლებელი გახადო საბჭოთა რუსეთის სავაჭრო ოპერაციების სწრაფი ზრდა გარეშე ბაზართან, მეორე მხრით, ბოროტმოქმედების, დატყუილების და მტაცებლობის ზღვაში ჩაარჩო შესაძლებლობა საგარეო ვაჭრობის გამოყენების პროლეტარული სახელმწიფოებრივი მეურნეობისათვის, მისი შემოსავალის წყარო.

„შერეულ საზოგადოებათა“ მიმართ ჩვენმა „ვნეშტორგმა“ უნდა ითამაშოს **რეგულიატორის** როლი. ამ საზოგადოებათა გამგეობებში უნდა მონაწილეობდნენ პარიტეტული პრინციპის მიხედვით (თუ მოუხერხებელია ჩვენი უმრავლესობის ყოლა ორივე მხარე, რათა ამ საზოგადოებებში, რომლების თვალყურის დევნა და კონტროლი შესაძლებელია, ხდებოდეს, რაც შეიძლება ჩვენთვის გამოსადეგ ფორმებში შეხვედრა ორი „სისტემის“, ორი „ქვეყნის“.

ვაჭრობის ასეთი მოწყობა ოცნებათ დარჩებოდა, რომ კაპიტალისტური ქვეყნები არ საჭიროებდნენ უაღრესათ და აუცილებლათ საბჭოთა რუსეთთან სამეურნეო კავშირის დაჭერით. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ეს მათ ესაჭიროებათ და ფრიადაც. გერმანიაში საერთო ღაღადია და ყვირილი იმის შესახებ, რომ **„ჩვენი ხსნა რუსეთშიაო“**. ინტერვენციაზე ხელი აიღეს თვით მისმა უკიდურესმა მომხრეებმაც კი, როგორც მაგ. გეორგ ებერგარდმა „ფოსის გაზეთიდან“. ბროშიურებში და წიგნებში წარამარა ასაბუთებენ ამავე აზრს. ედლერ ფონ-ბრაუნი, თავმჯდომარე გერმანიის უმაღლესი სამეურნეო საბჭოსი, ბროშიურაში, რომელიც შეეხება ევროპის მდგომარეობას და მის ბედ იღბალს, უწინასწარმეტყველებს **გერმანიის დაღუპვას, ევროპასაც ამავე დაღუპვას—თუ... თუ მათ რუსეთის ნედლმა მასალამ არ უშველა.**

მსგავსათ თიხის ფეხებზე დაყრდნობილ გიგანტისა, კაპიტალიზმს არ შეუძლია დრო დაჰკარგოს და უდგინოს პროლეტარულ რუსეთს ულტიმატუმები ულტიმატუმებზე. კერძოთ ყველაზე ნაკლებათ შეუძლიათ იოცნებონ ანტანტის მიერ დამარცხებულ, განადგურებულ ქვეყნებს იმაზე, რომ ასეთი ტაქტიკა აწარმოონ რუსეთის ირგვლივ შექმნილ ბრძოლაში, იმ რუსეთის, რომელიც ვერ დაიჯაბნა ანტანტამ. აქედგან წარმოსდგება **რეალური შესაძლებლობა** და განვითარება შერეული სავაჭრო კომპანიების სისტემის, რომელთა საშუალებით, საბჭოთა ხელისუფლების რეალური „კონტროლის“ გზით, ნედლი მასალა გასავალს იპოვნის რუსეთიდან, მოხერხდება საზღვარგარეთის საქონლის შემოზიდვა რუსეთში, რაც მისცემს პროლეტარულ სახელმწიფოს საბაჟო შემოსავალს, რაც ასე ესაჭიროება მას ფინანსების აღსადგენათ, თავის ბიუჯეტის დეფიციტის მოსასპობათ.

გ. სოკოლნიკოვი.

ბრძოლის ახალი ფრონტი

ისტორიული განვითარების აუცილებლობით პროლეტარიატი მიდის თავის საბოლოო მიზნის მსოფლიო კომუნიზმისაკენ ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გზით. ისტორიული აუცილებლობითვე ეწყობა ბრძოლის ახალი ფრონტი—რევოლიუციონურ-კულტურულ შემოქმედებითი. ყოველივე მიწიერი, როგორც ადამიანი, იბადება, გაივლის ახალგაზრდობის ხანას, მომწიფების პერიოდს, ბერდება და კვდება; ასე იბადებიან და კვდებიან სახელმწიფოები, ხალხები, ერები, კლასები, ეს ითქმის აგრეთვე ბურჟუაზიულ ხელოვნების შესახებაც. ის განსაკუთრებულ ისტორიულ პირობების შედეგია, აკმაყოფილებს ცხოვრების განსაზღვრულ მოთხოვნილებებს, გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ განსაზღვრულ ურთიერთობას და ცხადია, რომ ამ პირობების მოსპობის შემდეგ მასაც უნდა მოელოს ბოლო. მოხდა პროლეტარული რევოლიუცია. საუკუნოებით დამონებული მუშა ხელისუფლებას მოექცა სათავეში და ერთბაშად დაეუფლა აზარმაცს, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოს ცხოვრებას. მართალია, ბრძოლა არ დასრულებულა, მაგრამ არ შეიძლება ველოდეთ ბურჟუაზიულ მსოფლიოს საბოლოო დარღვევას, თუ არ გავშალეთ ბრძოლა პროლეტარულ კულტურისათვის: არ შევვიძლია ვაიძულოთ ძველი ლიტერატორები, მსახიობები, მხატვრები, რომელნიც ემსახურებოდნენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, გახდნენ პროლეტარულ კულტურის გამომხატველებად. პროლეტარიატმა უნდა წარმოშვას მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მხატვრები და სხვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ უნდა დაეუფლოს წარსულის და აწმყოს მთელ კულტურულ ავლადიდებას; მაგრამ მან უნდა შეითვისოს ძველი, არა როგორც მორჩილმა მოწაფემ, არამედ როგორც მშენებელმა, რომელიც მოწოდებულია აღმართოს ახალი შენობა კომუნისტურ მეურნეობის ნიადაგზე, კოლექტიურ შრომის და ბრძოლის პირობებში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოვნებაც აგრეთვე ისევე მოქმედებს გრძნობებზე, როგორც აზრზე იდეური პროპაგანდა, ხოლო გრძნობები განსაზღვრავენ ნებას არა ნაკლები სიძლიერით, ვინემ იდეები. ახალ კულტურის შექმნაში უნდა და შეიძლება მიიღონ მონაწილეობა ორმა ძალამ, ორმა ჯგუფმა. მათგან ერთი არის პოლიტიკურად მაგარი და ნამდვილი შემქნელი ახალი ღირებულებათა, მეორე—ღირებულების მქონე რამდენადაც ჩვენ ვეხებით კულტურულ პრობლემებს და რამდენად იგი, იდგომება რა პროლეტარიატის თვალსაზრისზე, ხელს უწყობს მისი შემოქმედებითი ძალების გაშლას. ლაპარაკია პროლეტარიატის შესახებ და პირველ რიგში კომუნისტურ პარტიაზე, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის ავანგარდს, და ინტელიგენციაზე. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილზე, ღრმა-კულტურულზე, რომელსაც ესმის პროლეტარიატის მისწრაფება მისი ბრძოლის სული, მისი მნიშვნელობა და ისტორიული როლი, ინტელიგენციაზე, რომელსაც ნაწილობრივ უკვე შეთვისებული აქვს პროლეტარული მეცნიერება—მარქსისტული თეორია, ფილოსოფია და ეკონომიკა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორი ძალის საერთო მუშაობა ბევრს რამეს გააგებინებს და ისინი გახდებიან ერთმანეთისათვის არაჩვეულებრივად მახლობელნი და მონათესავენი.

პროლეტარული ხელოვნება მხოლოდ ეხლა იბადება—და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მოლოდინი ვიქონიოთ, რომ იგი უახლოეს მომავალში შესძლებს მკვიდრ ნიადაგზე დადგომას, რომ მებრძოლი პროლეტარიატი ამ გარდამავალ ხანაში შექმნის თავის ჭეშმარიტ კლასობრივ ხელოვნებას ნამდვილი მხატვრული მიღწევებით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საბოლოო ანგარიშით პროლეტარიატი იპოვის ძალას ასწიოს თავისი ხელოვნება ზოგად-კაცობრიულ დონემდე. ხოლო ამ გარდამავალ ხანაში, საძირკველს უყრის რა თავის ახალ კულტურას, პროლეტარიატი გადასცემს მომავალ თაობებს საშინელ, მაგრამ კაცობრიობის ამაღორძინებელ მოთხრობას იმაზე, თუ როგორ აბარებს ისტორიის გარდუვალი მსვლელობა ძალა-უფლებას მთელ მსოფლიოზე მას, მიმავალს სიღარიბისა და გაპარტახების გზით, გარუჯულ ფაბრიკებში, გავლილს სისხლიან ომებში და რევოლიუციის ცეცხლში.

მარიამ ორახელაშვილი.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

საქ. რევკომის საინფორმაციო განყოფილებისა.

მდგომარეობა ჭიათურაში

სურსათ-სანოვაგე

მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის გამო, რაც სრულებით ვერ შეანელა წრევანდელმა უმნიშვნელო მოსავალმა და ისევ უცვლელად დასტოვა მათი მდგომარეობა. საჭიროა დროზე დახმარება მოსალოდნელი შიმშილის თავიდან ასაცილებლად.

მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა

ჭიათურის რაიონის მუშა-მოსამსახურენი, დღიდან საბჭოთა სისტემის დამყარებისა შეძლებისა და გვარად კმაყოფილდებოდნენ სურსათ-სანოვაგით სასურკომის მიერ. ეს უკანასკნელი დახმარებას უწევდა აგრეთვე უღარიბეს მცხოვრებთ. ბოლო ხანებში კი სასურსათო კომიტეტმა, საშუალების უქონლობის გამო სრულიად შესწყვიტა მუშა მოსამსახურეთა ნატურით უზრუნველყოფა, რამაც შესამჩნევათ გააუარესა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობა. საჭიროა მათი დროზე ფულით დაკმაყოფილება.

მიწის კომიტეტები

ადგილობრივი მიწის კომიტეტები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1922 წლის 15 იანვარს ტფილისს.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. მამია ორახელაშვილი.

2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფ ინტერნთან—მომხ. ამხ. ნაზარეტიანი.

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხ. ამხ. ტოროშელიძე.

5) სადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ფილიპე მახარაძე.

6) კოოპერაცია—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხ. ამხ. ერქომაიშვილი.

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. მდივანი.

9) ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხ. ამხ. ორჯონიკიძე.

10) პარტიული ორგანიზაციის აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხ. ამხ. დინენკო.

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიული სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე. პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითოეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრზე და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც ასეთნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დინენკო**

ჯერ არ დაარსებულა. მიღებულია ზომები მათ ჩამოსაყალიბებლად.

განათლების საქმე

ქიათურის ქალაქი და მის უბნის სკოლებში მეცადინეობა თავის დროზე დაიწყო და ჯეროვანათაც მიმდინარეობს. საჭიროა მხოლოდ სკოლის შენობების შეკეთება.

პროპაგანდის საქმე

პროპაგანდის ორგანიზატორთა და ლექტორთა ნაკლებობის გამო ამ დარგში მუშაობა შეფერხებულია. თუმცა ადგილობრივი რაიკომპარტკომს შესაფერი ზომები აქვს მიღებული პროპაგანდის გასაძლიერებლად, პარტიულ სკოლის გახსნით და საუკეთესო გამოცდილ პარტიულ ამხანაგების ამ მიზნისთვის იაჩეიკებიდან გამოყოფით.

საჩივრები

გლეხების ურთიერთშორის საჩივრები შეეხება უმთავრესად მიწის ფაქტიურ მფლობელობის დაცვას და ერთხელ შემოფარგლულ ადგილის საზღვრების გადაცილებას. ვიდრე მიწის კომიტეტები დაარსდებოდეს, ამ საჩივრებს იხილავს რევკომი და ხშირად მორიგებით ათავებს საქმეს. ქიათურის რაიონის რევკომისადმი ადგილობრივ და რაიონის მცხოვრებთა მიერ მომართულ საჩივრების რიცხვი დღიურათ უდრის 15—20 ს.

საშტატო კომისიის მუშაობა.

საშტატო კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და ჯერ-ჯერობით შეამცირა შტატი შემდეგ დაწესებულებებში: ფოთის ნავთსადგურის—180 თანამშრომლით, სახალხო სამეურნეო საბჭოსი—4. სრულიად გაუქმებული იქნა მეორე უბნის სახალხო სასამართლო და საგამომძიებლო, თანამშრომელთა დათხოვნით, და აგრეთვე მეორე უბნის მილიციის სამმართველო მილიციონერების პირველ უბანში გადაყვანით.

კონკის მოძრაობის შეჩერება.

ვინაიდან ნოყიერ საკვებ მასალის უქონლობის გამო შეუძლებელია მუშა ცხენების შენახვა—რევკომმა დაადგინა: შეჩერებულ იქნას კონკის მოძრაობა ერთი თვით. კომუნალურ განყოფილებას დაევალა მიიღოს ყოველივე ზომები სიმინდის და თივის შესაძენად. მასვე მიეცა წინადადება ერთი თვის განმავლობაში შეაკეთოს კონკის ვაგონები და გზები.

ძეხვის დამზადება.

მიწადმოქმედების განყოფილებას განზრახული აქვს საკალბასოს გახსნა და მუშა მოსამსახურეთათვის კალბასის და ლორის დამზადება. ამ მიზნით სწარმოებს მოლაპარაკება მეკალბასე დარახველიძესთან, როგორც სპეციალისტთან ამ დარგში.

ბინების ქირის ტარიფიკაცია.

კომუნალურ განყოფილებას დაევალა დაუყონებლივ შეიმუშაოს ქალაქში, როგორც საცხოვრებელი აგრეთვე სავაჭრო ბინების ქირის ტარიფიკაცია.

განყოფილებათა გაერთიანება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს შეუერთდა კომუნალური განყოფილება და შეერთებული დაწესებულებების [illegible] და ეკონომიური განყოფილება. ეკონომიური განყოფილებასთან დაარსდა შემდეგი ქვეგანყოფილება: წარმოებითი, მომარაგებითი, სადგილ-მამულო, საბინაო, ტეხნიკური და საერთო კანცელარია. განყოფილებას ხელმძღვანელობს კოლეგია სამი პირისაგან შემდგარი.

ფოთის რევკომის მოღვაწეობა

ქარხნის დაბრუნება.

ვ. ბაღდასარიანცის ტყავის ქარხანა რომელიც ჩამორთმეული იყო ნაციონალიზაციის სახით, ისევ დაუბრუნდა პატრონს შემდეგ პირობებში· ქარხნის პატრონი ვალდებულია 20 პროც. საერთოდ გამომუშავებული საქონლისა გადასცეს უფასოდ ფოთის რევკომს. 30 პროც. დაუთმოს მასვე თვით ღირებულ ფასებში და დანარჩენი კი შეუძლიან გაყიდოს პატრონმა ბაზრის ფასებში.

ხე-ტყის მრეწველთა შუამდგომლობა ნაციონალიზაციით ჩამორთმეულ ხე-ტყის სახერხავ ქარხნების უკან დაბრუნების შესახებ, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ უშედეგოთ იქმნა დატოვებული.

ნატურით გადასახადი.

სასურსათო კომიტეტთან დაარსებულ იქმნა ნატურ-გადასახადის ამკრეფი კომისია, რომელშიაც რევკომის წარმომადგენლად დაინიშნა ს. მჟავანაძე.

ჯანმრთელობის განყოფილება.

ვინაიდან გადამდებ სენიანთა საავადმყოფოები დაშორებული არიან დიდი მანძილით ქალაქზე და ჯანმრთელობის განყოფილება კი მოკლებულია გადასაზიდ საშუალებებს, რევკომმა დაადგინა: გაიხსნას საავადმყოფო წინწკლებიან სახადიანთათვის თვით ქალაქში, მიხეილის ქუჩაზე, სადონიკიძის სახლში.

ახალი დაწესებულებები ფოთში.

ფოთში გაიხსნა შეერთებული საგარეო ვაჭრობის განყოფილება. აქვე არსდება ამერიკის მისია, რომლის მიზანი არის საქონლის გატან-გამოტანა ქ. ფოთით. ფოთის რკინის გზის საწყობები უნდა გადავიდეს ნავთსადგურის განკარგულებაში.

საშტატო კომისია.

შესდგა საბჭოთა დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემამცირებელი კომისია, რომელსაც დაევალა ყველა დაწესებულებაში ადგილობრივ მუშაობის გაცნობა და ზედმეტ მოსამსახურეთა განთავისუფლება.

მომღერალთა გუნდი.

ფოთის მომღერალთა გუნდი ჩაირიცხა სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვში. განათლების განყოფილებას დაევალა გადაუგზავნოს მათი სია სასურსათო კომიტეტს უფლებით დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე შეიძინოს გუნდისათვის ერთნაირი ტანისამოსი.

კლიმატიურ მოვლენების მიმოხილვა.

ფოთის ჰიდრო-მეტეოროლოგიული სადგურის გამგეს მანილოვსკის დაევალა ფოთში კლიმატიურ მოვლენების შედგენა-შემუშავება და ცნობების ყოველდღე მიწოდება სამიწათმოქმედო განყოფილებისათვის. მასვე დაევალა ფოთის რაიონისათვის მეტეოროლოგიულ მიმოხილვის შედგენა და კვირეული და თვიური ტაბელების გამოყვანა.

სასამართლო უბნის გაუქმება.

გაუქმებულ იქნა მეორე უბნის სახალხო სასამართლო და საგამომძიებლო, რომლის ქონება და საქმეები გადაეცა პირველ უბანს. მესამე უბნის სასამართლო და საგამომძიებლოს ეწოდა მეორე უბნის სახალხო სასამართლო და საგამომძიებლო. როგორც პირველი ისე მეორე უბნებისათვის დაინიშნა ერთი განჩინების აღმასრულებელი.

რუსეთი

ზრუნვა წითელ არმიელთა ოჯახებზე.

მოსკოვი, 18 დეკემბერი (რადიო). სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სოციალურად უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ წითელ არმიელთა და წითელ მეზღვაურთა ოჯახები—მცირე წლოვანნი 16 წლამდე—ძმები, დები და სრული ობლები, ცოლი, რომლებიც მოკლებულია შრომის უნარს ან ყავს თავისთან ბავშვი 8 წლის ჰასაკამდე, შრომის უნარს მოკლებულნი დედმამა, თუ ისინი იმყოფებოდიენ გაწვეულის ხარჯზე, და თუ მათ ოჯახში არ არის სხვა, შრომის უნარ მქონე პირი. წითელ არმიელთა და წითელ მეზღვაურთა ოჯახების აღნიშნულ წევრებს, რომელთაც გააჩნიათ სასოფლო მეურნეობა ან შემოსავლიანი წარმოება, უწევენ სხვა სამეურნეო დახმარებას თვითდახმარების ორგანოების საშუალებით, რომელნიც მოქმედებენ სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ხელმძღვანელობით.

ტრანსპორტის აღდგენა.

მოსკოვი. 17 დეკემბერი. (რადიო). (დასაწყისი არ მიგვიღია). ც. ა. კ. დადგენილებით, უნდა გარდაიქმნას ტრანსპორტის მმართველობა. გზათა მიმოსვლის ერთი აპარატის მაგივრად, რომელიც მოწყვეტილია ადგილებიდან, იქმნება გზათა მიმოსვლის ოლქები, მჭიდროდ დაკავშირებულნი ადგილობრივ ეკონომიურ ორგანოებთან. ეს კავშირი ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამეურნეო ცხოვრების განვითარებას და ამასთან დაეხმარება რკინის გზებს საჭირო მასალებით. ბრძოლა მტაცებლობასთან იწარმოებს ტვირთისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებით თვით რკინის გზებზე. ფულის კურსის დაცემა საშუალებას არ იძლევა დავაწესოთ მტკიცე ფულის ტარიფი გადაზიდვისათვის. ახლა ტარიფი გადიდებულია 20.000 ჯერ ომამდე არსებულთან შედარებით, მაგრამ იგი ბევრი ხანია უკვე ჩამორჩა სიძვირის ზრდას. ტარიფის ვერმვითარი გადიდება ვერ დაეწევა სიძვირის ზრდას. აქედან გამოსავალი შეიძლება იყოს ნატურტარიფი. ე. ი. გადარიცხვა ნატურით გადასაზიდ ტვირთის ყოველ ფუთიდან. დაათავა რა თავისი სიტყვა, ამხ. ძერჟინსკიმ თქვა: პირდაპირ დავსვათ კითხვა: შესძლებენ თუ არა საზღვაო და საძდინაოო სისტემის 63.000 ვერსიან გზები, მასზე რესპუბლიკის მიერ გაღებულ რესურსების დროს, დააკმაყოფილონ მათ წინაშე მდგარი მოთხოვნილებანი? პირველ შეხედვით შეიძლება ეჭვი აღგვეძრას. მაგრამ თუ მოვიხსენიებთ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მუშები და გლეხები, როდესაც მათ ხელთ ჩაიგდეს ძალაუფლება და როგორ გვშოოდებოდნენ ლაჩარი ხალხი და როგორ, მუშურ-გლეხური რესპუბლიკის გამარჯვების შემდეგ, ერთი თვის, სხვები ერთი წლის, მესამენი 2 წლის შემდეგ გვიბრუნდებიან,—ჩვენ შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი გვქონდეს: ჩვენ შევასრულებთ ყველა წინ მდგარ მიზნებს და ამოცანებს, რანაირი დიდნი და საძნელონი ისინი არ უნდა იყვნენ,—თუ ჩვენ გვექნება მტკიცე ნებისყოფა გამარჯვებისა. მოხსენების შემდეგ პიტერის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ტრანსპორტის აღსადგენად მიღებულ ღონისძიებებს და ესალმება რკინის გზელებს, რომელნიც თავიანთი შრომით გადაარჩენენ ტრანსპორტს.

ფასიანი გაზეთები.

მოსკოვი. 18 დეკემბერი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შემოიღოს გაზეთებისათვის ფასი 1922 წლის 1 იანვრიდან. იანვრის განმავლობაში გაზეთები ეგზავნებათ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირებს, რომელნიც იღებდნენ მათ 1921 წლ. დეკემბრის განმავლობაში. ნისიად ამ დაწესებულებების და პირების ანგარიშზე, წინასწარი ხელმოსაწერი ფასის გადაუხდენლად.

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

მთავრობის ნებართვით.

მოსკოვი, 17 დეკემბერი, (რადიო). გელსინგფორსიდან იტყობინებიან: „ყოველ მხრიდან შემოდის ცნობები მოხალისეთა მოგროვების შესახებ. ყოველ დღე მოდიან საფოსტო მატარებლებით ჯგუფები 30—40 კაცის შემადგენლობით. მოხალისენი სარგებლობენ უფასო მიმოსვლით. საზღვრამდის მათ აცილებენ მაძებარ პოლიციის აგენტები. მოხალისენი ტიპიური ხულიგანებია, რომელნიც თავის საქციელით შიშის ზარს სცემენ მოსახლეობას. რაზმებს სათავეში უდგანან ოფიცრები. მოხალისები უცხადებენ მცხოვრებთ, რომ ისინი ილაშქრებენ კორელიით მოსკოვისკენ.

ფინეთის მთავრობის პირმოთნეობა.

მოსკოვი, 17 დეკემბერი, (რადიო). პრემიერმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა სეიმში, რომ მთავრობა ხელს უშლის ხალხის მოგროვებას და იარაღის გაგზავნას აღმოსავლეთ კორელიაში. მთავრობამ მისცა სათანადო ინსტრუქციები გუბერნატორებს და სანაპირო რაზმს.

ერთად მოქმედებენ.

მოსკოვი, 17 დეკემბერი. (რადიო). ესტონიის, ლატვიის, პოლონეთის და რუმინიის მთავრობებმა აცნობეს ხალხთა ლიგას, რომ კორელიის საკითხი აღძრული იქნება ლიგის საბჭოს უახლოეს სხდომაზე, 10 იანვარს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ვაშინგტონის კონფერენციისათვის.

ბრიანი და საბმა კონფერენციის შესახებ.

მოსკოვი. 19 დეკემბერი (რადიო). გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ კამათის დროს, ბრიანმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონის კონფერენცია კარგად შეხვდა მის გამოსვლას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დაემტკიცებინა, რომ საფრანგეთს არ შეუძლია მიემხროს კონტინენტის განიარაღების პროექტს. ბრიანმა შემდეგ განაცხადა, რომ დიდი ვაშინგტონის კონფერენციის შედეგები და უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება მომავალში და გამოსთქვა კმაყოფილება საფრანგეთის მონაწილეობის გამო ოთხთა შეთანხმებაში. საბმამ, რომელიც გამოვიდა ბრიანის წინააღმდეგ, სრულიად უმნიშვნელოდ მიაჩნია ბრიანის მოგზაურობის შედეგები ვაშინგტონში.

ოთხთა შეთანხმების გარშემო.

მოსკოვი. 19 დეკემბერი (რადიო). ვარშავთან მიღებულ ცნობებით, ოთხთა შეთანხმების რატიფიკაციისათვის ამერიკის სენატში საჭიროა, როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, ხმების არა ნახევარი, არამედ ორი მესამედი. მილლე „პტი-პარიზენ“-ში ამტკიცებს, რომ ოთხთა შეთანხმება ვერ შესძლებს საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. „ტან“, პირიქით, აღტაცებაშია შეთანხმების გამო და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის სასარგებლოა თვით იაპონიისათვისაც, რომელსაც ახლა საშუალება ეძლევა გადაჭრას ემიგრაციის საკითხი.

საბჭოთა ნოტა და კონფერენცია.

მოსკოვი. 19 დეკემბერი, (რადიო). „ბერლინერ ტაგებლატი“ იტყობინება იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მოახდინა ვაშინგტონში კონფერენციაზე და ამერიკის პოლიტიკურ წრეებში საბჭოთა მთავრობის უკანასკნელმა ნოტამ, გაზეთის კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ამ ჟამად ყველანი სცნობენ რეპრესიულ ზომების გამოყენების უმიზნობას საბჭოთა რუსეთის მიმართ, მაშინ, როცა რუსეთს ადვილად შეუძლია ხელი შეუშალოს იაპონიის გეგმების განხორციელებას მანჯურიაში. გარდა ამისა, ეხლა დადებული ოთხთა შეთანხმება სრულებით არ ითვალწინებს რუსეთ-იაპონიის ომის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ომი დაიწყება, იაპონიას იმედი არ უნდა ჰქონდეს დიპლომატიურ დახმარებისაც კი ამერიკის, ინგლისის ან საფრანგეთის მხრით, მეორე მხრივ, არავის შეაქვს ეჭვი იმაში, რომ რუსეთ—იაპონიის ომს შეეძლო არსებითად შეეცვალა სახელმწიფოების ურთიერთობა შორეულ აღმოსავლეთში, ოთხთა შეთანხმების დამოუკიდებლად. ხოლო ეს კი იწვევს ერთგვარ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ოთხთა შეთანხმებისადმი.

მსოფლიო ფინანსები და კონფერენცია.

მოსკოვი, 19 დეკემბერი. (რადიო). ლონდონიდან მიღებული ცნობებით, დღევანდლამდე არავითარი გარკვეული ცნობები არ არი ვაშინგტონში კონფერენციის შესახებ მსოფლიო ფინანსების აღდგენის საკითხების გამო. მოელიან ინგლისის დელეგატების ოფიციალურ განცხადებას ვაშინგტონში, რომ მათ ჯერ არ მიუღიათ არავითარი ინსტრუქციები რაიმე პროექტების დასამუშავებლად ეკონომიურ კონფერენციის საკითხის გამო, ამერიკის მთავრობისათვის განსახილველად წარდგენისათვის ლონდონის გაზეთების ვაშინგტონის კორესპონდენტები ამ საკითხს ჯერჯერობით პესიმისტურად უყურებენ და ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ვაშინგტონს არა აქვს განზრახვა ამ საქმეში რაიმე ინიციატივა იქონიოს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას

ამხანაგებო! განათლების კომისარიატის განკარგულებით სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის „გამგეობა“ დაშლილია და მის ნაცვლათ იმავე კომისარიატის დადგენილებით არჩეულია **სტუდენტთა წარმომადგენლების დროებითი საბჭო**, რომელსაც დაევალა სულ მოკლე დროში მოიწვიოს სტუდენტთა საზოგადო კრება, სადაც უნდა აირჩიოს სტუდენტთა კავშირის კანონიერი ორგანო.

ამ ფაქტში სტუდენტობის შავი ნაწილი, მისი შოვინისტური ფრთა „დაინახავს“ სტუდენტთა მასის „ნებისყოფის“, შეურაცყოფას, სტუდენტთა „მე“-ს „ფეხქვეშ გათელვას“; ამ ფაქტის გამო კონტრ-რევოლიუციონური სტუდენტები—ეს რეაქციის ნამდვილი „არმია“—შეეცდებიან ერთხელ კიდევ გადმოანთხიონ თავის შოვინისტური შხამი არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ, შეეცდებიან აამოძრაონ თავის კონტრ-რევოლიუციონური პარტია, რომ სტუდენტობა შეიყვანონ შეცდომაში, შექმნან მათში მთავრობის საწინააღმდეგოთ განწყობილება და აამოძრაონ ისინი საბჭოს წინააღმდეგ.

ამხანაგებო! ჩვენ მივმართავთ ყველა შეგნებულს, ღირსეულს სტუდენტის სახელწოდებისა, ყველა რევოლიუციონერ და პოლიტიკურათ სინდისიერ სტუდენტებს—არ წამოეგონ პროვოკაციის ანკესზედ, არ გაებან მათ მახეში, შეეცადონ კავშირის „გამგეობის“ დაშლის ფაქტის კვალიფიკაცია მოახდინონ კრიტიკულის აზროვნებით, კავშირის გამგეობა უკვე ორ წელზე მეტია რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ის არ ცდილა მოეწვია საზოგადო კრება და მოეხდინა გამგეობის ახალი არჩევნები. იურიდიულად კავშირის „გამგეობის“ მოქმედება განსაზღვრული იყო ერთი“ წლით, ხოლო ზნეობრივად მას არ ჰქონდა უფლება უზურპაციის და სტუდენტთა სახელით სპეკულიაციისა თავის არსებობის გახანგრძლივებით. მიუხედავათ ამ ზნეობრივ და იურიდიულ მოსაზრებათა მიუხედავათ იმისა, რომ უკვე ცხრა თვე გავიდა რაც საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა,—ყოფილი გამგეობის საზრუნავ საგანს ის შეადგენდა, რომ გაემტკიცებინა თავის მდგომარეობა და მით ბუნებრივად არ ცდილობდა საზოგადო კრების მოწვევას; სტუდენტთა გამგეობას ეშინოდა ასეთი კრების, რადგანაც მის მუშაობას—განსაკუთრებით სტუდენტთა სასადილოს საქმეში, — უამრავი დეფექტები ახასიათებდა, რისთვისაც გამგეობა მოელოდა სტუდენტთა სასტიკ რისხვას; ამ მოსაზრებით ე. ი. იმით, რომ თავისი „საქმენი საგმირონი“ დაემალა გამგეობას, **მან უარით გამოისტუმრა მთავრობის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისია.**

ამხანაგებო! **სტუდენტთა კავშირის ყოფილ გამგეობას შეეშინდა, რომ ნათელი არ გამხდარიყო ყველასათვის ის უწესრიგობა, რითაც სავსე იყო მათი მუშაობა სასადილოს საქმეში, და ჩვენი ამხანაგები, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ განათლების კომისარიატის მიერ, არ იქნენ დაშვებული რევიზიის მოსახდენათ.** პოლიტიკურად ასეთი საქციელი ამ ვაჟბატონებისა ანტისახელმწიფოებრივია და როგორც ასეთი უაღრესათ კონტრ-რევოლიუციონური, ხოლო ზნეობრივად ის არის „კოლეგიალური“ საქმიანობის ელემენტარული პრინციპების ფეხქვეშ გათელვა და თავის მდგომარეობით უსინდისო სპეკულიაცია.

ყველა ეს ფაქტები, რომლებიც აშკარავებენ ყოფილ გამგეობის ზნეობრივსა და პოლიტიკურს ფიზიონომიას, საკმაო მოტივი შეიქმნა გამგეობის დაშლისათვის. ახალი დროებითი საბჭო, რომელიც დანიშნა მთავრობამ, შეეცდება მოაგვაროს ყოფილი გამგეობის აწეწილი საქმეები, შეუდგება სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შეეცდება მოაგვაროს სტიპენდიების რაციონალური განაწილება, და სულ ცოტა ხანში მოიწვიოს საზოგადო კრება, რომელიც აირჩევს **სტუდენტთა წარმომადგენლების საბჭოს.**

სტუდენტთა მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, სტუდენტობა მაშინ დაიმსახურებს მთავრობის ყურადღებას, როდესაც მისი გამომხატველი ორგანო იქნება არა ყოყოჩა სპეკულიანტები და აშკარა კონტრ-რევოლიუციონერები, არამედ ისინი, ვისაც შერჩა რევოლიუციონური ტრადიცია და რევოლიუციონური სინდისი.

ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ კიდევ ყველა შეგნებულ სტუდენტებს შემოკრბენ ახალ დროებით საბჭოს ირგვლივ და მით ყოველ-კრულვა შეუთვალონ იმათ, ვინც ეწეოდა სტუდენტთა სახელის პროვოკაციას.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ სტუდენტობას.

სტუდენტთა წარმომადგენლების დროებითი საბჭო.

სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილება.

სახალხო განათლების კომისარიატმა მოისმინა მოხსენება „სტუდენტთა სოციალურ უზრუნველყოფის კომისიისაგან სახ. უნივერსიტ. სტუდენტთა კავშირის გამგეობის რევიზიის შესახებ და აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული იაჩეიკის დადგენილება ამ საკითხზე და მიიღო რა მხედველობაში, რომ არსებული გამგეობა მთელი სტუდენტების მიმართ [illegible] იყენებდა თავის მდგომარეობას და არა ერთხელ გამოამჟღავნა თავისი კონტრ-რევოლიუციონური განწყობილება არსებულ ხელისუფლებისადმი, დაადგინა:

დაშლილად გამოცხადდეს სახელ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ძველი გამგეობა და მის მაგივრად დაინიშნოს სტუდენტთა წარმომადგენლების დროებითი საბჭო, რომელიც აიღებს მთელ მმართვა-გამგეობას თავის ხელში, ახალი სტუდ. წარ. საბჭოს მოწვევამდე.

სტუდენტთა წარმომადგენლების დროებითი საბჭო შესდგება შემდეგი ამხანაგებიდან 1, ანტ. ასათიანი (თავმჯდომარე) 2) არჩილ შენგელაია, 3) შალვა პაპავა, 4, შურა დუდუჩავა, 5) დავ. იაშვილი (კომუნისტები), 6) კ. კახიანი, 7) გ. გამყრელიძე და 8) გ. გიორგიძე (მემარცხენე სოც. ფედერალისტები). მეცხრე წევრის ადგილი დროებით რჩება ღიად.

სახ. განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

მდივანი **გვაზარია.**

გერმანია

გერმანია და მოკავშირენი.

მოსკოვი, 15 დეკემბერი (რადიო). ამხ. რადეკი „საერთაშორისო მიმოხილვა“-ში სწერს: „ეჭვი არ არის, რომ მოკავშირეებს უახლოეს თვეებში მოუხდებათ ახალი გადაწყვეტილებების მიღება გერმანიის ვალდებულების საკითხის შესახებ, ვინაიდან თუ გერმანია იძულებული იქნებოდა მოკავშირეთა ულტიმატუმით მიეღო ეხლა მოკლევადიანი სესხი იანვრის და თებერვლის შესატანის დასაფარავად, ამას მისი ფინანსებისათვის კატასტროფიული მნიშვნელობა ექნებოდა მომავალში, ხოლო გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა ძალიან მოქმედებს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე“. ლაპარაკობს რა ჩერჩილის გეგმებზე ინგლის-იაპონია-ამერიკის შეთანხმების შექმნის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში და ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებაზე ევროპაში, ამხ. რადეკი სწერს: „რომ ჩერჩილის გეგმა განხორციელდეს შორეულ აღმოსავლეთში, ეს, ცხადია, ენიშნებოდა თავის დახწევას ამერიკის მოთხოვნისაგან, რათა ინგლის-იაპონიის კავშირი იქნეს გაუქმებული და ინგლისმა გარკვეული პოზიცია დაიკავოს ამერიკის მიმართ, ვინაიდან, თავის თავად ცხადია, რომ ეს ენიშნება კონფლიქტების მხოლოდ გადადებას შორეულ აღმოსავლეთში, რომლებშიაც შეერთებულ შტატების და იაპონიის ინტერესები არა ნაკლებ ეჯახებიან ერთი-მეორეს, ვინემ ინგლისის და გერმანიის ომის წინ. ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების ცდა უფრო უიმედოა, ვინემ კომბინაცია, რომელიც ელანდება ჩერჩილს შორეულ აღმოსავლეთში. ჩერჩილის პერსპექტივები მოკლებულია რეალურ ნიადაგს. იგი წარმოადგენს მიმზიდველ საშუალებას გერმანიის ბურჟუაზიისათვის, რომელმა კვლავ უნდა ითამაშოს „კოზირის“ როლი ინგლისის ხელში საფრანგეთზე ზედმოქმედების მოსახდენად ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხებში. მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიის ტვინი ქისაშია მოქცეული. მარკა თანდათან ზევით იწევა“.

მორატორიუმი გერმანიისათვის.

ნაუენი, 14 დეკემბერი. რადიო). ლოიდ-ჯორჯი ამზადებს მასალებს გერმანიისათვის მორატორიუმის საკითხის შესახებ და საერთაშორისო სესხზე. ინგლისის პრესა ფიქრობს, რომ ლონდონში განზრახული თათბირი ლოიდ-ჯორჯისა ბრიანთან დაამყარებს მოქმედების საბოლოო გეზს გერმანიის მიმართ.

რომი, 14 დეკემბერი. (რადიო). იტალიის პრესა იუწყება, რომ ბრიტანიის ხაზინის დელეგაცია ავრცელებს გერმანიისათვის მორატორიუმის იდეას იტალიაში. საერთოდ, ინგლისის წარმომადგენელნი ცდილობენ მიაღებინონ იტალიას ინგლისის თვალსაზრისი.

პარიზი, 14 დეკემბერი. (რადიო) პარიზის პრესა ადასტურებს, რომ ლოიდ-ჯორჯი მოითხოვს კონტრიბუციის საკითხის გადასინჯვას. ლოიდ-ჯორჯს საჭიროდ მიაჩნია გერმანიის ვალდებულებათა გადახდის გადადება.

ბერლინი, 14 დეკემბერი. (რადიო). ბერლინის ბანკები სკეპტიკურად უყურებენ ანტანტის მოლაპარაკებას მორატორიუმის შესახებ გერმანიისა-

თვის. ფინანსისტები ამტკიცებენ, რომ გერმანიის მარკის კურსის ასაწევად ერთად ერთი საშუალებაა მორატორიუმის გამოცხადება რამოდენიმე წლით ან გრძელვადიანი სესხის მიცემა გერმანიისათვის.

საფრანგეთი და ბელგია მორატორიუმის წინააღმდეგ.

მოსკოვი 17 დეკემბერი (რადიო. ბელგია წინააღმდეგია გერმანიისათვის მორატრიუმის მიცემისა და მზადაა, თუ ეს საჭირო იქნება, მიმართოს რეპრესიულ ზომებს, რათა აიძულოს გერმანია აასრულოს დაკისრებული ვალდებულებანი. გამოდის რა მორატორიუმის იდეის წინააღმდეგ, „ტანი" სულ სხვა საშუალებას აყენებს გერმანიის ფინანსების გასაჯანსაღებლად. გერმანიის მარკის კურსის აწევა, ამ გაზეთის რეცეპტით, შეიძლება არა მორატორიუმით, არამედ ქაღალდის ფულის გამოშვების შეჩერებით. საჭიროა რომ როგორც საიმპერიო ბანკის, ისე შემნახველი სალაროების ფულების გამოშვება და გადაცვლა სრულიად იქნას გამოყოფილი მთავრობის კომპეტენციიდან. უნდა გამოეყოს გერმანიის ბანკი გერმანიის მთავრობას.

ინდოეთი

ინდოეთის საკითხი ლორდთა პალატაში.

ლონდონი. „ტაიმსი" სწერს: „ლორდების პალატის სხდომაზე ლორდ სიტენგაუმმა თავის გამომწვევ სიტყვაში მიაქცია ყურადღება მდგომარეობაზე ინდოეთში. მისი სიტყვებით, ბრიტანიის მთავრობა სავსებით პასუხისმგებელია იმ შეცდომებისათვის, რომლებიც ჩადენილი იყო ინდოეთში, სრული უძლურებისათვის დაიცვათ იქ წესრიგი და თავისი პრესტიჟი. ინგლისმა, პირველ ყოვლისა, უნდა იზრუნოს, რათა გამოიწვიოს პატივისცემა თავისადმი, დაამყაროს უშიშროება და დაიცვას სამართლიანობა. საპასუხოდ გამოვიდა ლორდი კერზონი და აღნიშნა, რომ სრულიად უხერხული დროა ამორჩეული ინდოეთის საკითხის განსახილველად. ურთიერთობათა იმ გამწვავების გამო, რასაც ადგილი აქვს ინდოეთში. ლორდ შელენფორდმა მხარი დაუჭირა კერზონს და განაცხადა, რომ შეუძლებელია ინგლისის მთავრობის გამტყუნება ინდოეთის ამბების გამო. ინდოეთში შექმნილი მდგომარეობა არის შედეგი ორი რასის სიძულვილისა. შელენფორდის აზრით, საკითხი შეიძლება გადაიჭრას ინდოეთისათვის ფართე ავტონომიის მინიჭებით და საკონსტიტუციო რეფორმების გატარებით.

ინგლისი

ბილი უმუშევართა შესახებ.

ლონდონი. 5 დეკემბერი. „დეილი ხრონიკლ" იტყობინება, რომ ბილმა უმუშევართა შესახებ სასტიკი კრიტიკა გამოიწვია ყოველმხრიდან. გაზეთი აღნიშნავს, რომ თემთა პალატის წევრმა, რომელმაც ეს ბილი შეიტანა, მისი კითხვის დროს განიცადა შეურაცყოფა. ამ ბილის თანახმად, მუშებმა, „რომელთაც აქვთ ისე დიდი ბედნიერება, რომ მუშაობენ", უნდა შეიტანონ უმუშევართა სასარგებლოდ 6 თვის განმავლობაში 5 ნახ. მილიონი დოლარი. ამ ჯამის გაღება მუშებს ფრიად მძიმე ტვირთად დააწვება. მკაცრი კრიტიკით ამ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა ტრედიუნიონების წარმომადგენელი კლაინსი, რომელმაც განაცხადა: „ხალხი ასი ათასობით სიმშილობს ინგლისში, ინგლისის მთავრობის პოლიტიკის წყალობით მუშათა საკითხში. ეხლა ისინი უფრო მეტად ისიმშილებენ. 9 უმსხვილეს ტრედ იუნიონებს, წინანდელი კანონმდებლობის თანახმად, უნდა გადაერიცხათ 4 მილიონ გირვანქა სტერლინგზე. მეტი. ნუთუ მუშებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ უფრო მეტი ყურადღება მათდამი და მეტი სიუხვე უმუშევართა დასახმარებლად. კლაინსი უპასუხებს, რომ მშრომელთა ყველა დანარჩენი წრეები, როგორც მაგალითად, ფერშლები, ნაფიცი ვექილები, რკინის გზის უმაღლესი მოსამსახურენი, საქალაქო და საზოგადოებრივ წარმოებათა მოსამსახურენი, ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვინც ყველაზე მეტს შოულობენ, ყველაზე ნაკლებს აძლევენ სახელმწიფოს და უმუშევრებს მუშებთან შედარებით კლაინსის აზრით, უმუშევართა დახმარების ბილი რომელიც არ გულისხმობს თვით სახელმწიფოს ფართე დახმარებას, ტვირთის უმთავრეს ნაწილს მშრომლებს აკისრებს და დახმარებას არა თანასწორად ანაწილებს,—ვერავითარ დადებითი შედეგს ვერ მოგვიტანს და უნდა იქნას უარყოფილი პალატის მიერ. მეორე დეპუტატის, რობერტსის აზრით, მუშებმა უნდა მიიღონ ეს ბილი რადგან მუშათა კლასი არჩევს პირადად მიიღოს მონაწილეობა ამხანაგებისადმი დახმარებაში, ვინემ მიიღოს მოწყალება მთავრობისაგან.

შორეულ აღმოსავლეთის ამბები

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრებაზე

ჩიტა. 10 დეკემბერი (რადიო). შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრებაზე მთავრობის მხრივ ამხ. მათვეევმა დაასურათა რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა. მომხსენებელი ჯერ შეეხო იმ გარემოებებს, რომლებმაც აიძულეს თეთრ გვარდიელები ქ. ჩიტის დატოვებაზე შემდეგ იმ ფარისეველურ სამსახურს, რომელიც გაუწია საბჭოთა რუსეთს გენ. სემიონოვმა, რომელიც სთხოვდა წითელ ლაშქარში ჩარიცხვასაც კი, და შემდეგ გადავიდა იმ ამბებზე, რომელსაც მოჰყვა გადატრიალება ვლადივოსტოკში. გადატრიალება მოხდა იაპონიის მეოხებით, რომელმაც უპირატესობა მერკულოვს მიანიჭა, ვიდრე სემიონოვს, როგორც დემოკრატს. მერკულოვის „დემოკრატიზმი" კი გადიქცა იმ ნიღაბად, რომლის მსხვერპლადაც გახდა მშრომელი მასსა. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობა, სულ მუდამ პროტესტს აცხადებდა ვლადივოსტოკის ხელისუფალთა სიმკაცრის წინააღმდეგ. რეაქციონულ გენერლებსა და ინტელიგენციის მომხრეებს სურდათ სამოქალაქო ომის წარმოება, რომელიც იაპონიის შორეულ აღმოსავლეთის გეგმებში შედიოდა. იაპონიის ნაწილები, თეთრ-გვარდიელთა ბანდებს, თავისუფლად უხსნიდენ გზას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეტაკებანი მერკულოველთა, კაპელეველთა და იაპონელებ შორის უფრო და უფრო ხშირდებოდა. ყველა ამან კი, დღევანდელი სამოქალაქო ომი გამოიწვია. თვის სიტყვის დასასრულ ამხ. მათვეევმა სთქვა: როდესაც ჩვენ აღმშენებლობითი, მშვიდობიანი ცხოვრებას ვიწყებთ, სასწრაფო იერიშები მოაქვთ ჩვენზე. ჩვენი მოვალეობაა—მთელი ძალღონის შეკავშირება და გამყიდველების უკუქცევა. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ კრიტიკულ მომენტში, ხალხი საკმაო ძალას მოიკრებს, რომ გამყიდველებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს. ამხ. მათვეევის შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრმა ამხ. იანზონმა ილაპარაკა. მან დაასურათა იაპონიის და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკა, რომლების მიზანსაც შეადგენს ინტერვენცია. ამ თავდასხმას შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაზე, სარჩულად უძევს იაპონიის სურვილი, გადააქციოს რესპუბლიკა ახალშენად. „ჩვენ არ შეგვიძლია; სთქვა იანზონმა, დაუშვათ, რომ იაპონია შემოიჭრას ჩვენში თავის კაპიტალით, რომელსაც ვერ მივანიჭებთ ისეთ პრივილეგიებს როგორც მას სურს იაპონიის კაპიტალისტებმა და დიპლომატებმა, კაპელეველებსა და მერკულოველებს გზა დაულოცეს დღევანდელ სისხლის-მღვრელ ავანტიურაზე. ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკი, სემიონოვი და უნგერნი. ჩვენ მორიგ მიზანს შეადგენს მერკულოვის დამარცხება". კრების დარბაზი სავსე იყო სხვა და სხვა წრის ხალხით. დიპლომატიურ ლოჟაში ისხდნენ ჩინეთისა და ამერიკის წარმომადგენელნი.

მთლიანი ფრონტი.

ჩიტა, 10 დეკემბერი (რადიო). შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო კრებამ მიიღო გლეხების ფრაქციის მიერ შემოტანილი მოწოდება მთელ შ. ა. რ. მშრომელ ხალხისადმი, პროტესტით იაპონიის თავდასხმის და მერკულოველების წინააღმდეგ. გლეხთა ფრაქცია მოუწოდებს, რომ მათ უზრუნველჰყონ ახალი გამარჯვება მტრებზე.

უთანხმოება თეთრ გვარდიელებ შორის.

ჩიტა. 10 დეკემბერი რადიო). სემიონოველებმა გროდეკოვში მთელი ფრონტი შეჰქმნეს მერკულოველებთა წინააღმდეგ. სემიონოველებს მეთაურობს გენ. გლებოვი, რომელმაც თავი დააღწია კაპელეველების პატიმრობას ნიკოლსკში და გადავიდა სემიონოველების მხარეზე.

ხალხის დოვლათს ანიავებენ.

ჩიტა, 10 დეკემბერი. მერკულოველები, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას საქონელსა ჰყიდიან. ამ დღეებში გამოცხადდა 1 მილ. ფუთ ჩაის გაყიდვა. ამის გამო რკინის გზის სამმართველო პროტესტს აცხადებს. რკ. გზის სამმართველოსა და მერკულოველებ შორის კონფლიქტები იბადება.

მგლები ცხვრის ქურქის ქვეშ.

ჩიტა. 10 დეკემბერი რადიო). იაპონიის სამხედრო მისსიამ აცნობა ამურის საოლქო სამმართველოს, რომ პრესაში აღნიშნული ცნობები, ვითომც კაპელეველების და იაპონელების ჯარის ნაწილები სამხრეთ უსურიის მხარეს, შეთანხმებით მოქმედებდეს და ვითომც იაპონიის სარდლობას მერკულოვის მთავრობისთვის იარაღი გადაეცეს, სიმართლესაა მოკლებული. „ამურსკაია პრავდა" ამის შესახებ სწერს: „იცოდეთ, თუ იაპონიის დიპლომატებმა ჩამოაგდეს ლაპარაკი გულწრფელობაზე, ეს იმას მოასწავებს, რომ იგი ემზადება ახალ ვერაგულ საქმისთვის".

უჯავები იერიშებიან.

ჩიტა, 10 დეკემბერი. (რადიო). ხარბინზე გაიარა უნგერელთა ეშელონის გადარჩენილ ნაწილებმა, რომელთაც ზღვის ნაპირისაკენ უჭირავთ გზა. იაპონიის სარდლობა, მერკულოველებთა თანადახმარებით, კორეელებისა და ჩინელებისაგან შეიარაღებულ რაზმს აწყობს, რომელსაც იარაღსაც ურიგებს.

ძირიანად ამოფხვრა.

ჩიტა. 10 დეკემბერი. (რადიო მონგოლეთის სახალხო ლაშქარმა დაამარცხა უნგრელების გადარჩენილი ნაწილები, რომლებიც იმალებოდნენ დასავლეთ მონგოლიაში და აიღო ქ. ობდო. ტყვეთ მოჰყვა 200 უნგერელი, ტყვის მფრქვეველებითა და იარაღით.

საბჭოთა ამიერ-კავკასია

აზერბეიჯანში

ბაქოს საბჭოს პირველი პლენარული სხდომა.

ბაქოს საბჭოს ახალი არჩევნები დასრულდა კომუნისტური პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებით. ბაქოს პროლეტარიატმა მასიურათ მიიღო მონაწილეობა თავის დიქტატურის ორგანოს არჩევნებში. არჩეულია მაზრებიანა საბჭოში სულ 479 დეპუტატი. მათ შორის 419 კომუნისტი და 60 უპარტიო. საერთო რიცხვში შედის 16 დეპუტატი—ქალი.

ამხ. კრაინოვი ხსნის ბაქოს მესამედ მოწვეულ საბჭოს პირველ პლენალურ სხდომას და მიესალმება მას ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სახელით. მქუხარე ტაში. მღერიან „ინტერნაციონალს".

მისალმება კომინტერის და რ. კ. პარტიის.

ახალ პრეზიდიუმს ევალება გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები სრულიად რუსეთის საბჭოთა მეცხრე ყრილობას, მესამე კომინტერნს და ამხ. ლენინის სახით რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს (აპლოდისმენტი).

ამხ. ლენინი საპატიო თავმჯდომარე ბაქოს საბჭოსი.

შემოდის და ერთხმათ იღებენ წინადადებას: რადგან ამხ. ლენინი ბაქოს რაიონებში ყველგან გავიდა დეპუტატათ, არჩეულ იქნეს ის საბჭოს საპატიო თავმჯდომარეთ (მქუხარე ტაში).

დელეგაცია საბჭოთა მეცხრე ყრილობაზე.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ირჩევენ დელეგატებს სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-9 ყრილობისთვის. არჩეულ იქნა 14 დელეგატი გადამწყვეტი და 5 სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმით იგზავნებიან: ლენინი ეგოროვი, კონუშკინი, კრილოვი, ხანბუდაგოვი, სერებროვსკი, მუსტაფა კულიევი, ილინი, კრილოვი, (ბალახანელი, ორჯონიკიძე, კიროვი, სუმბატ ფტალი ზადე, მიოხოევი, რაგიბ გუსეიხოვი. სათათბირო ხმის უფლებით: ალი-მამედოვი, მამედოვი, ემდაროვი, ბაშლუევი, ჯამილ-კულიევი.

ანგარიში ბაქოს მეორე საბჭოსი.

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. კრილოვს ბაქოს უკანასკნელი შემადგენლობის საბჭოს მოღვაწეობის ანგარიშის მოსახსენებლათ.

პირველი პერიოდი, ანუ პერიოდი სამხედრო-რევოლიუციონური, რომელიც გაგრძელდა წარსული წლის ნოემბრიდან ამ წლის აპრილამდე. ამ დროის მოღვაწეობა ხასიათდება სამხედრო პირობებით და სრულიად განსხვავებულია ჩვენი მოღვაწეობის მეორე ნახევრისაგან, რომელიც დაიწყო აპრილიდან და ატარებდა მშვიდობიან სამეურნეო მუშაობის ხასიათს. წარსული ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ მოგვიხდა გადაგვეჭრა პოლიტიკური, უკეთესათ რომ ვთქვათ, სამხედრო საკითხი. კითხვა შეეხებოდა საქართველოს მენშევიკებს, რომელიც არ უშვებდა ჩვენ მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკისაკენ სურსათსა და ნავთს. ჩვენ დავემუქრეთ მათ ან გაეშვათ დანიშნულებისამებრ სათანადო მარშრუტები ან და ერთ ფუთ ნავთსაც ვერ ეღირსებოდნენ საქართველოს მენშევიკები ბაქოდან. მათ დაგვითმეს.

ამ დროის განმავლობაში ჩვენ გავგზავნეთ 200 პასუხისმგებელი მუშაკი სომხეთში, იქ საბჭოთა რეჟიმის განსამტკიცებლათ. ჩვენ შევეცადეთ მჭიდრო კავშირი დაგვეარსებია ბაქოს მაზრის გლეხკაცობასთან. ამ მხრით მივაღწიეთ თვალსაჩინო შედეგებს და დღეს ბაქოს საბჭოში ირიცხება ამ მაზრიდან 65 დეპუტატი. ჩვენ ხელი შევუწყეთ მაზრაში საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებას და შეგვიძლია ვიამაყოთ იმ შედეგებით რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ მუშაობიდან. ჩვენ შეუდექით ბინის საკითხის მოწესრიგებას ბაქოში. ავიღეთ აღრიცხვაზე 180 სახლი და დავასახლეთ შიგ 10000 მეტი მუშა. აღსანიშნავია ამ პერიოდიდან ისიც, რომ იანვარში მწვავე სასურსათო კრიზისის გამო, რომელსაც განიცდიდნენ ჩვენი მუშები, გადავწყვიტეთ მოგვეხდინა ექსპროპრიატორების ექსპროპრაცია, მაგრამ ამ ზომამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი, დაშვებულ იქნა ბევრი შეცდომა.

მეორე პერიოდი ეს პერიოდი ვრცელდება იმ დრომდე, როდესაც რ. კ. პ. მე-10 ყრილობამ შესცვალა პარტიის ეკონომიური პოლიტიკა. პირველ ხანებში ჩვენ გვიძნელდებოდა მისი ცხოვრებაში გატარება. შემდეგში კი შევძელით ეს და საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამეურნეო მოღვაწეობაც შეიცვალა მის და მიხედვით. მაგ. თუ **საბინაო კრიზისის** გადაჭრაში ჩვენ წინეთ ვადექით რევოლიუციონერ გზას, ახლა საჭირო იყო სხვა მეთოდებით მივდგომოდით საკითხს. დავრწმუნდით რა, რომ ქალაქში არსებულ თორმეტი ათასი სახლის მოვლა და შეკეთება ჩვენ ძალასა და ღონეს აღემატებოდა, გადავწყვიტეთ გადაგვეცა ისეთები, რომლებისგანაც სახელმწიფო არაფერ საოგებლობას იღებდა, პატრონებისთვის, რომლებიც, როგორც ასეთი, დაინტერესებულნი თავიანთ ქონების მოვლაში და შენარჩუნებაში, გაუძღვებოდნენ სახლის მეურნეობას, შეინახავდნენ მათ. ჩვენ უზრუნველვყავით ამასთან ერთად. მდგომარეობა სახლის მდგმურეობის, რომლებიც აქამდე არსებული პრაქტიკის მიხედვით არ შეიძლება დაოწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ხვალინდელი დღე მათ რაიმე სიურპრიზს არ მოუტანდა და მთელ ბინას არ აუფუნდრიაკებდა. სოვნარკომის დეკრეტით გაუქმებულ იქნა ძალდატანებითი შესახლება ან გადასახლება მდგმურების, რათა დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ბინა მათ განკარგულებაში დარჩებოდა და ამნაირათ გულმოდგინე ყოფილიყვნენ მის მოვლა, თვალყურის დევნაში.

გარდა ამისა ქალაქს აქვს თავისი ხარჯები. ხოლო მათ დასაფარავათ შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოს დავსწოლოდით კისერზე. საჭირო შეიქნა გამოგვეძებნა რაიმე **საკუთარი რესურსები.** და აი აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს გადასახადის სადგომებს. იღებს ფასს კონკიდან, აწესებს გადასახადებს ვაჭრებზე.

რომ ქალაქი დამოკიდებული არ ყოფილიყო **საამშენებლო მასალის** მოვნაში სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, მან მიჰყო ხელი აგურის, ცემენტის, მიწის ზავოდების მოწყობას და ახლო მომავალში ჩვენ გვექნება საკუთარი მასალა.

ჩვენი წყალსადენი სავალალო მდგომარეობაშია. მაშინები დაძველდა გერმანიაში შეკვეთილი მაშინები ვერ მივიღეთ. ამისთვის გაგზავნილმა დელეგაციამ მოგვიტანა იქიდან ცნობა, რომ მათ დასახსნელად საჭიროა 350 ათასი ოქროს მანეთი. სად უნდა გვეშოვნა ასეთი თანხა. მივადექით მოსკოვს და მთხოვეთ. თხოვნა დაგვიკმაყოფილეს, როგორც ამის შესახებ დეპეშა მივიღეთ ეკონომიურ საბჭოსაგან. ასე რომ 3-4 თვეში წყალსადენის საქმე მოგვარდება და ქალაქი უზრუნველყოფილი იქნება ამ მხრივ. უნდა აღვნიშნოთ წყლის მიწოდება იქნება ფას დადებული, მუშები, რასაკვირველია, ამ გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნებიან.

ფინანსიური მდგომარეობა საბჭოსი კრიტიკულია. რომ ცოტათი მაინც შეღავათი მივსცეთ სახელმწიფოს, შემოვიღეთ გადასახადები საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებებზე სათანადო შედეგებიც მივიღეთ: ივლისიდან დაწყებული ამ წლის ბოლომდე ჩვენ შევაგროვებთ 6-7 მილიარდი მანეთი.

სუსტობს **სახალხო განათლების** საქმეც. რევოლიუციის პირველ ხანებში ჩვენ ფართოთ მოვედით სკოლების გახსნას. მაგრამ ვერ უზრუნველვყავით ისინი საჭირო საგნებით. ახლა კი ვხსნით იმდენს, რამდენის მოვლაც შეგვიძლია. შარშან ჩვენ გვქონდა ბაქოს რაიონში 170 სკოლა. წელს გავხსენით მხოლოთ 140. ყველაში სწავლობს 37 ათასი მოწაფე. საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული, მაგრამ შარშანდელთან შედარებით მაინც უკეთესათ მიმდინარეობს.

კლუბების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ისინი ჩვენ ბევრი გავხსენით. მაგრამ რა მაქნისი იქნებიან ეს დაწესებულებები, თუ არ გვეყოლება საკმაო რიცხვი კლუბების მუშაკთა. ასეთ შემთხვევაში მათ ტყვილ უბრალოთ ეჭირათ სადგომები. ბაქოს საბჭომაც გადასწყვიტა მათი რიცხვის შემცირება და ჩვენ გვაქვს დღეს წინეთ არსებულ 120 კლუბიდან მხოლოთ 17 მდე, ერთი ცენტრალური და გარდა ამისა თითო საწარმოო კავშირთან და თითო რაიონში.

საბავშვო სახლები მოგვეპოვება ამ ჟამათ 24, რომლებშიდაც მოთავსებულია 4350 ბავშვი. საბავშვო ბაღები 47-3300 ბავშვით. მათი მდგომარეობა უსახსრობის გამო ვერ არის ისეთი, როგორც შეჰფერის მშრომელთა რესპუბლიკას. ყოველ შემთხვევაში ეს საქმეც თანდათან უმჯობესდება. დამშეულ გუბერნიებიდან მოვვლით ბავშვებს, რომლებისთვისაც ვხსნით კიდევ ორ სახლს.

ჯანმრთელობის საქმეში აღსანიშნავია ორი მომენტი. ბრძოლა ეპიდემიასთან იპყრობდა მთელ ჩვენ ყურადღებას იმ საფრთხის გამო, რომელსაც ის წარმოადგენდა მშრომელთათვის და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი დაუღალავი მუშაობით მოვუღეთ ის და გავხადეთ უვნებელი. ჩვენ შეგვხვდა დიდი გაჭირვება მედიკამენტების უქონლობის გამო. მაგრამ ეს კითხვა გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს, რადგან დავსდეთ ხელშეკრულება კონსტანტინეპოლის ვაჭრებთან და საქონლის—ხიზილალის, ხალების და ნავთის გაცვლის ნიადაგზე ჩვენ მოვიმარაგებთ მათ საკმაო რაოდენობას. ჩვენ მივაქციეთ სათანადო ყურადღება აგრეთვე ლტოლვილთა საქმეს. მოდიოდნენ ვოლგის დამშეულ გუბერნიებიდან და ყარაბაღიდან. გავხსენით მათთვის საავადმყოფო, რომელშიაც მოთავსებულია 250 საწოლი. ლტოლვილთა მდგომარეობა ახლა უკეთესია. ბევრ რამეს ვერ ვსწვდებით, მაგრამ რა გაეწყობა. რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ.

რაც შეეხება **წესრიგის დაცვის** საქმეს, უნდა ვთქვათ, რომ მილიციის მუშაობა უმჯობესდება. მას უხდება მუშაობა ძალიან ცუდ პირობებში. არ არის საკმაოდ უზრუნველყოფილი, არ აცვია, ვერ ვაკმაყოფილებთ მატერიალურათ. მიუხედავათ ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ის ღირსეულათ ასრულებს თავის მოვალეობას დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა რეჟიმი ერთათ ერთია, რომელიც ზრუნავს და იზრუნებს ყველა გამრჯელთათვის. ბოროტ-მოქმედებამ 50-ის დღიურათ იკლო 5-4 მდე ზოგან კი ის სრულიად აღკვეთილია. მილიციის მომარაგების და შემოსვის საქმე დღეს ასეთია: საბინაო საქმეთა კომისარიატი შეგვპირდა მის უზრუნველყოფას და დარწმუნებული ვართ ამ საკითხს გადავჭრით დაკმაყოფილებლათ.

მიწის განყოფილების მოღვაწეობა გამოიხატება იმაში, რომ ის ატარებს მუშაობას გლეხობასთან კავშირის დასაკავებლათ, კულაკებისაგან მიწის ჩამოსართმევათ და მათ გადასაცემათ სოფლის ღარიბთათვის. ჩვენ ვაკმაყოფილებთ გლეხებს სათესლე მასალით. ჩვენი მოვალეობაა გავამტკიცოთ საბჭოთა რეჟიმი სოფლებში, ჩვენი მოქმედების რაიონში და გავსწვდეთ მთელ აზერბეიჯანის გლეხობასაც. ამისაგანაა დამოკიდებული რევოლიუციის მსვლელობა და საბჭოთა ძალაუფლების ბედ იღბალი.

კიდევ ერთი დიდ მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს გადასაჭრელი და მასში დაინტერესებულია არა მარტო ბაქოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელნი. ეს არის ფედერაცია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების.

გაუმარჯოს ბაქოს საბჭოს, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

აქ მოკლეთ მოყვანილ ანგარიშის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კრილოვის ბაქოს მეორეთ მოწვეულ საბჭოს მოღვაწეობის შესახებ, ვიღებთ მხედველობაში მთელ რიგს ობიექტიურ პირობებისას, რომლებიც ხელის შემშლელი იყვნენ საბჭოს ორგანოებისათვის გაეხვითარებიათ თავის მოღვაწეობა, ვპოულობთ, რომ მიღწეული იყო მთელი რიგი სერიოზულ გაუმჯობესებათა სამეურნეო და საბჭოთა აღმშენებლობის სფეროებში—საერთოთ ვიწონებთ ბაქოს მეორე საბჭოს მოღვაწეობას და სამოქმედო ხაზს" (ტაში).

ფედერაციის შესახებ.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კიროვმა, რის შემდეგ მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„ბაქოს საბჭო, მოისმინა რა ამხ. კიროვის მოხსენება, არდგენს მთელი თავისი ძალ-ღონით ხელი შეუწყოს დაწყებულ მუშაობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გასაერთიანებლათ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას; გაუმარჯოს მსოფლიოს გაერთიანებულ საბჭოთა ფედერაციას!"

(ხანგრძლივი მქუხარე ტაში. საერთო „ურა".

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სამელიორაციო მუშაობა ქუთაისის მაზრაში.

(ეკონომგანყოფილების ჰიდროსექციის მოხსენებიდან.)

ქუთაისის ეკონომგანყოფილების ჰიდრო-ტეხნიკური სექცია აწარმოებს დიდს მუშაობას ქუთაისის მაზრის მოსარწყავად, იმ მიზნით, რომ მომავალ წელში სრულიად მომზადებული დახვდეს ნათესების ულმობელ მტრებს გვალვასა და აღმოსავლეთის ხმელ ქარებს.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა შემდეგი სარწყავ არხების გასათხრელად: 1) მათხოჯისა, სიგრძით 5 ვერსი. 2) ყულაში ღანირისა, სიგრძით 24 ვერსი და ქსელით 50 ვერსი. 3) რიონის საბჭოთა არხისა, სიგრძით 21 ვერსი, ქსელის სიგრძით 50 ვერსი 4 ვანის არხისა 30 ვერსი. ამას გარდა სწარმოებს მუშაობა 13 ვერსის სიგრძიან აჯამეთის სარწყავ არხის შესაკეთებლათ. მაგრდება მდინარე ცხენის წყლის მარცხენა ნაპირი სოფელ მათხოჯში და გაყავთ მცირე სარწყავ არხების და შტოების მთელი ქსელი გეგუთსა, პატრიკეთსა, მესხეთსა, ვაკის და სხვა სოფლებში. მუშაობის დასრულებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია, მაგრამ მაინც ბევრი რამ არის გაკეთებული.

მათხოჯის სარწყავი არხი.

შესრულებულია 1500 კუბი მიწის სამუშაო, დარჩენილია 536,67 კუბ. განზრახულია არხით 2500 დესეტინის მორწყვა. საჭიროა, რომ შეუდგნენ ხელოვნურ შენობათა აგებას.

ყულაშ-ღანირის არხი.

არხის გაფართოების გამო ამ წელს მორწყულია 3500 ქცევა, შრომის ბეგრით შესრულებულია 2300 კუბიკ. საჟენი მიწის სამუშაო.

რიონის საბჭოთა არხი.

შესრულებულია 850 კუბ. საჟენი მიწის სამუშაო. გამოკვლევა ხდება პარალელურათ აშენებასთან ერთად.

ვანის მიწების მორწყვა.

დაიწყო გამოკვლევა, მაგრამ იგი დროებით შეწყვეტილია სახსრის უქონლობის გამო. აქამდე ვანის რაიონში მორწყულია 800 დე დესეტინა მიწა.

აჯამეთის არხი.

მუშაობა ამ არხზე აღიარებულია დამკრავათ. ამ წელში შესაძლებელი გახდა არხით 250 ქცევა მიწის მორწყვა. მიწის სამუშაო შრომის ბეგრის საშუალებით შესრულებულია 440 კუბ. საჟენამდე. თანახმათ ჰიდრო-სექციის პროტესტისა, არხი უნდა გაფართოვდეს 5000 დესეტინა მიწის მოსარწყავათ.

მდ. ცხენის წყლის ნაპირების გამაგრება.

აშენებულია 3 არშინიანი ჯებირები 1500 კუბ. საჟენის მოცულობით. ყოველი სამუშაო, უმთავრესათ მიწისა, შესრულებულია შრომის ბეგრის საშუალებით. სპეციალურ ხასიათის სამუშაო ფასით სწარმოებდა. მიწის სამუშაო შესრულებულია სულ 5,000 კუბ. საჟენი და 6,000 დესეტინა მიწა. დადგმულია 170 კუბ. საჟენიანი ჯებირები. ყოველივე ეს დაჯდა მის ღირებულების არა უმეტეს 1 | 20-სა. სარგებლობა კი დიდი მოიტანა ანგარიშით მოურწყავი დესეტინა მიწა საშვალო მოსავლის დროს, იძლევა 60—70 ფ. და გვალვის დროს კი 30 ფ., ხოლო მორწყვის შემდეგ იგივე დესეტინა იძლევა 100—200 ფუთს. ამ წელში სარწყავი სივრცე გადიდებულია მხოლოდ 6,000 დესეტ. მომავალ წელს ეს სივრცე გაიზრდება 30,000 დესეტ., ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობას აფერხებს ფულის სახსრის ქრონიკული უქონლობა.

პ. კ. ს. ეკონომიურ განყოფილებაში.

ცენტრალურ ტრანსპორტის განყოფილების ფულის ნიშნების სრულიად უქონლობის და საბარგო ტრანსპორტის კრიტიკულ მდგომარეობის გამო, საქართველოს პ. კ. ს. ეკონომიური განყოფილება საჭიროდ სთვლის გადასცეს მთელი მსუბუქი ტრანსპორტი (ავტომობილები და ეტლები) სათანადო ორგანიზაციების გამგებლობაში, რომლებიც სარგებლობენ მით. ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მსუბუქი ტრანსპორტი, უნდა შეინახონ იგი თავის ხარჯით. ამასთან ყველა ავტომობილები მსუბუქი და საბარგო, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ცენტრ. ტრან. განყოფილებაში. ლითონის ორგანიზაციის სამეურნეო-კომერციულ დასაწყისზე გადასვლის გამო. ტრანსპორტით მოსარგებლენი ვალდებულნი არიან გადაიხადონ შესაკეთებელი ხარჯი. იმ შემთხვევაში თუ ტრანსპორტით მოსარგებლე ორგანიზაცია იმ მანქანას ან ეტლს, რომელიც საჭიროებს შეკეთებას, დასტოვებს შეუკეთებლად 2 კვირის განმავლობაში დღიდან მისი გაჩერებისა, იგი კარგავს მით სარგებლობის უფლებას და უკანასკნელი გადადის ცენტრ. ტრან. განყოფილების განკარგულებაში. უკანასკნელს ეძლევა უფლება კონტროლი გაუწიოს მსუბუქ ტრანსპორტის მუშაობას. ცენტრ. ტრანს. განყოფილებას უფლება აქვს ქონდეს თავის მსუბუქი ავტო ტრანსპორტი, რომელიც უნდა არსებობდეს განსაკუთრებით მხოლოდ კომერციულ ნიადაგზე.

ქრონიკა

◆ **მოამბე № 23.** დაიბეჭდა და გამოვიდა № 23 შინაგან საქმეთა კომისარიატის მოამბისა ზომით 1 ნახ. ბეჭდის თაბახი. მოამბის არა ოფიციალურ ნაწილში მოთავსებულია წერილები: „საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულების მეურნეობაში", „საბინაო საკითხი თბილისში" თბილისის კომუნ. მეურნეობის ცნობებით), შინაგან საქმეთა კომისარია-

ტის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების მოხსენება. ქალაქის და სამაზრო რევკომების საინსტ. საინფორმაციო განყოფილებათა გამგეობის ყრილობაზე, მოხსენება რევკომის თავმჯდომარეთა ყრილობაზე, დუშეთის სამაზრო რევკომის მოქმედების მიმოხილვა, დუშეთის მაზრის მდგომარეობა და კითხვა—პასუხი.

◆ **თბილისის განტვირთვა.** თბილისის მე-6 7, და 9—და ნაწილობრივ მე-8 რაიონების მოსახლეობის განტვირთვა დამთავრდა და 15 დეკემბრიდან შეუდგნენ მე-4 რაიონის ფაქტიურ განტვირთვას. მე-4 რაიონის პირველი ეშელონი, რიცხვით 500 სახლობამდე, გაიგზავნება დასავლეთ საქართველოს მხარეს.

◆ **მოსახლეობის აღწერა.** ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს მიერ შედგენილ ხალხის აღწერის ხარჯთაღრიცხვა საქართველოს რევკომმა გაუგზავნა ფინანსთა კომისარიატს დასასკვნელათ. ხარჯთ-აღრიცხვ. შედგენილია 300 მილიონ მანეთის ჯამით.

◆ **მუშათა ფაკულტეტი.** ინჟენერი ა. მ. ესსენი დანიშნულია მუშათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეთ. ჩაწერა და მიღება მუშათა ფაკულტეტებზე ვაკანსიის უქონლობის გამო შეწყვეტილია. მუდმივი შენობის უქონლობის გამო მუშათა ფაკულტეტის მსმენელებისათვის საერთო საცხოვრებლათ მათ მიუჩინეს ბინა მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში.

◆ **კლუბის ცხოვრების გაჯანსაღება.** თბილისის კლუბების ცხოვრების შემჩნეულ შეფერხების გამო, საქართველოს პროფკავშირის საბჭოს კლუბის განყოფილებამ მიანდო ამხ. რახმანს დაათვალიეროს ყველა კლუბები. გაეცნოს კლუბების მართველობათა და გამგეების შემადგენლობას, გამოარკვიოს მუშაობის უნარი და გამოიმუშავოს ზომები კლუბების ცხოვრების გასაჯანსაღებლათ.

◆ **ბათუმის ნავთ-სადგური.** 13 დეკემბერს ბათუმის ნავთ-სადგურში მოვიდა გოლანდიის გემი „სკოპახი“ და 4 იალქნიანი გემი. ნავთ-სადგურიდან გავიდა გემი ადესაში 8186 ფუთი საქონლით და 5 მგზავრით. ნავთ-სადგურში მყოფ იალქნიან გემების რიცხვი საერთოთ უდრის--10 ს. 14 დეკემბერს ბათომიდან გავიდა 7 იალქნიანი და მისაბმელი გემი 2400 ფუთ სხვა და სხვა საქონლით დატვირთული, 300 ფუთ ნავთით და 300 ფუთი ქონით. ნავთ სადგურში ღამის 12 საათზე იდგა 10 ორთქმავალი გემი და 94 იალქნიანი.

◆ **ცარიელი ვაგონების შემადგენლობის გამოყენება.** 20 დეკემბრიდან დანიშნულია ყოველდღიური მოძრაობისათვის მატარებელი № 26 დახურულ ცარიელ ვაგონების შემადგენლობით, რომელიც მიდის სურსათის დასატვირთავათ. თბილისიდან გავა დილის 10 საათზედ და 30 წუთზე, გორიდან დღის 3 საათზე, ხაშურიდან საღამოს 7 საათზე, ზესტაფონიდან ღამის 1 ს. და 45 წუთ. რიონიდან ღამის 3 ს. და 50 წუთზე, სამტრედიიდან დილის 8 საათზე და ბათუმში მივა დღის 3 საათზედ.

თეატრი და ხელოვნება

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

17 დეკემბერს, ხელოვნებათა სასახლეში გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. ამ ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის მიერ განზრახულია ამ ასოციაციის საშუალებით შექმნილ იქნეს საქართველოს პროლეტკულტი მსგავსათ სრულიათ რუსეთის პროლეტკულტისა, პროლეტარულ მწერალთა სტუდია. მგოსანმა სანდრო ეულმა გახსნა რა სხდომა, აღნიშნა ასოციაციის მიზანი და დანიშნულება. გუნდის მიერ შესრულებული იქმნა ინტერნაციონალი. შემდეგ ამხ. გ. საყვარელიძის მიერ წაკითხული იქმნა მისალმება სახ. განათ. კომისარის ამხ. კანდელაკისა და პროლეტარულ პოეტის აკ. ი. აკოპიანისაგან, რომელმაც ავათმყოფობის გამო ვერ შესძლო სხდომაზე პირადათ დასწრება.

ერთ-ერთ ინიციატორთაგანი ამხ. რაჟდენ კალაძის დასაბუთებულ მოხსენებაში აღნიშნულ იქნა განსხვავება ძველ უკვე დრო მოჭმულ ბურჟუაზიულ და მომავალ პროლეტარულ კულტურას შორის, ხოლო გ. საყვარელიძემ განმარტა სული პროლეტარული კულტურისა.

ამხ. ქურიძის მოხსენების წაკითხვა ამხ. ს. თალაკვაძის წინადადებით გადადებულ იქნა მეორე სხდომისთვის, ვინაიდან მოხსენება ბევრს დროს მოითხოვდა, ხოლო ზოგიერთ პასუხისმგებელი ამხანაგები სხვა მნიშვნელოვან სხდომაზე მიიჩქარებოდენ

კრება გადავიდა წმინდა სალიტერატურო ნაწილზედ. პროლეტარულმა პოეტებმა და მწერლებმა: ამხ. სანდრო ეულმა, იონა ვაკელმა, თალაკვაძემ, ლისაშვილმა ტ სილ. თოდრიამ წაიკითხეს თავის ნაწარმოებთა ნაწყვეტები, რითაც აუდიტორიის მქუხარე ტაშის ცემა გამოიწვიეს.

წაკითხვების დასრულებისას პოეტ-ფუტურისტმა ტიციან ტაბიძემ აიღო სიტყვა და გამოსთქვა თავისი სიმპატია და სწრაფვა პროლეტარულ კულტურისადმი, რომელიც შეადგენს მომავლის საფუძველს.

შემდეგი სხდომა ასოციაციას განზრახვა აქვს უფრო ფართო და ცენტრალურ შენობაში, მუშათა შენობის დიდ დარბაზში.

ც. მ. კ. საბავშვო კლუბის გახსნა.

დეკემბრის 15, ლამაზად მოწყობილ და მცენარეულობით და პლაკატებით მორთულ ც. მ. კ. საბავშვო კლუბის დარბაზში შეიკრიბა იმავე ორივე სქესის სხვა და სხვა ეროვნების, 4—16 წლამდე 800 მეტი ბავშვები. იყვნენ კლუბის წევრთა მუშების შვილები. კლუბის კულუარებში უკრავდა სამხედრო ორკესტრი. კლუბის გახსნის წინ ორკესტრისა და ყველა ბავშვების მიერ შესრულებულ იქმნა ინტერნაციონალი. კლუბის გამგეობის ერთი წევრის მიერ ბავშვების მიმართ წარმოითქვა სათანადო სიტყვა. ამხ. ედელსონმა მიჰმართა ბავშვებს სიტყვით, რომელშიაც განმარტა მიზანი და ბავშვებისათვის კლუბის მნიშვნელობა და მოუწოდებდა მათ ნაყოფიერ მუშაობისაკენ კლუბის სათვითმმართველობის გასაძღოლად. შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობდნენ 9—15 წლის ბავშვები. კონცერტის შესრულების შემდეგ ბავშვებს მიეცათ ჩაი და თეთრი პური.

წარმოდგენა სახალხო სახლში.

1921 წ. ოთხშაბათს, 21 დეკემბერს სახალხო სახლში პოლიტ. განათლებ. მთავარ მართ. ქართულ დრამის მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნება შილლერის პიესა „ყაჩაღები“. მონაწილეობს მთელი დასი.

ფრთხილად მასწავლებლებო!

შოვინიზმით გაჟღენთილი და მოწამლული ინტელიგენცია ვერასოდეს ვერ შეურიგდება მუშურ-გლეხური მთავრობის არსებობას. მუშათა სიმტკიცემ ბევრს მათგანს ცხვირი მოამტვრია და სოროებში შეაძვრინა. მუშა და მისი მუშური მთავრობა აფასებს და პატივს სცემს ყოველი პატიოსან და სპეტაკ მუშა ინტელიგენტს, რომელიც თავის დარგში იმუშავებს და მუშურ-გლეხური რეჟიმის აღმშენებლობაში დეზორგანიზაციას და მტრულ სულს არ შეიტანს. მუშურ-გლეხური მთავრობა ყოველმხრივად აფასებს ინტელიგენტური შრომას და სცდილობს შეძლებისამებრ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები. მაგრამ საქართველოს ინტელიგენციის გაიძვერა ნაწილი, რომელიც მხოლოდ იმის ცდაშია როგორმე შეასუსტოს საბჭოთა ძალაუფლება და დასცეს ხალხის თვალში მისი ავტორიტეტი, სწამლავს ატმოსფერას შოვინიზმით სხვა ერის სიძულვილით.

ამ შავ პატრიოტებს თავის მუშაობის მიზნათ გაუხდიათ მოწაფეთა მოწამლა და ამ ახალგაზრდა ნორჩი ტვინების დაბნევა. შრომის სკოლების დაბალ კლასებში შედიან მასწავლებლები და გაკვეთილების მაგიერ ძლევამოსილ წითელ არმიას ბავშვებს რაღაც საფრთხობელათ უხატავენ, კაცის ჭამიებათ აჩვენებენ. მოყავთ ისტორიის გაკვეთილებზედ თუ რომელი სარდალი ახსენეს ან გამარჯვებული ან დამარცხებული და მასწავლებელი, იმ წუთშივე აიღებს მაგალითათ „დამარცხებულ საქართველოს“ „გამარჯვებულ რუსეთს“ „კაცის ჭამია წითელ არმიელებს“, და სხვა სიმღერებიც შაბლონიური და მოწამლული შინაარსით არის სპეციალურათ შედგენილი. ყოველი გაკვეთილი მხოლოდ იქითკენ არის მიმართული როგორმე გამოიყვანონ საბჭოთა საქართველო შავ ფერადებში. მოხსენებებს კითხულობენ მასწავლებლები, რომელნიც აიმედებენ მოწაფეებს რომ „ძველი საქართველო“ ისევ აღსდგება და სამფეროვანი დროშა იქნება ჩვენი სიმბოლო და სხვა ასეთები. ეს იმ ფაქტების წვეთია, რაც დღეს შრომის სკოლებში ხდება. მის მაგიერ, რომ ახალგაზრდა და შთაბეჭდილების მომტაცებელ გონებას რაიმე სასარგებლო და გამოსადეგი მისცენ, მასწავლებლები ამ დაწესებულებაში—სასწავლებელში დემაგოგიას, საბჭოთა ხელისუფლების დამცირებას, წითელი არმიის გინებას და სხვა ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი. საბჭოთა ძალაუფლება ძლევამოსილია. მუშა და გლეხი შეგნებულათ უყურებს მისი მთავრობას და გვერდში უდგია ყოველი წუთში. ინტერესების მთლიანობამ და სიმტკიცემ მუშათა კლასი მიიყვანა სრულ გამარჯვებამდი. მან შესძლო დაემარცხებია მუშათა კლასის გამყიდველი პარტიები და ეხლა შეუდგა სახელმწიფოს შენებას, დანგრეულ მეურნეობის აღდგენას. ვინც ამ დროს ხელს შეავიშლის რევოლიუციის და მუშათა კლასის საზიზღარი მტერია და ჩვენც მათ სასტიკი პასუხს გავსცემთ. ფრთხილად მასწავლებლებო, რომელნიც ასეთ საქმეებს ეწევით! შავი მუშაობა არ შეგრჩებათ.

ვ. ც—ელი.

სრულიად საქართველოს პოლიტგანათლების განყოფილებათა ყრილობა

მოხსენება საპროპაგანდო მუშაობის შესახებ

(ამხ. მამულაიშვილი).

მომხსენებელი მიუთითებს პროპაგანდის ფორმის და აგრეთვე დანიშნულების შეცვლაზე ეკონომიური და სამხედრო პირობების შეცვლასთან დაკავშირებით. ხელისუფლების გამაგრების შემდეგ ჩვენი ამოცანა არის სისტემატიური აგიტაციის გამაგრება. ფართო პროპაგანდის გასატარებლად, მთავარ პოლიტგანათლების მართველობამ უნდა აამუშაოს მთელი თავისი აპარატები. უნდა მოვახდინოთ მასის კულტურულად გარდატეხა. ამაზეა დამყარებული და აშენებული მეორე საფეხურის სკოლა. მთავარ პოლიტგანათლების მმართველობამ 1922 წლისთვის შექმნა ახალი პროგრამა და მეტი ყურადღება იქნება მიქცეული მაზე, რომ მოვამზადოთ არა მარტო მუშები,—სპეციალისტები არამედ კულტურული მუშაკებიც.

მორიგი ამოცანები, ფორმები და მეთოდები აგიტაციისა.

ამხ. ს. ქურიძის მოხსენება).

საჭიროა ვიცოდეთ, რა არის აგიტაცია და რით განსხვავდება ის პროპაგანდისაგან. ამხ. ლენინის განმარტებით თავის წიგნში „რა უნდა ვქნათ“, პროპაგანდისტი უნდა იძლეოდეს მრავალ იდეებს, იმდენად მრავალს, რომ ყველა ეს იდეები უნდა იქმნას შეთვისებული რამდენიმე პირისაგან, აგიტატორი კი, ილაპარაკებს რა იმავე საკითხზე, თუ ის აიღებს ყველასგან ცნობილ ფაქტს, უნდა ცდილობდეს ყოველ ღონისძიებით, ამ ყველასგან ცნობილი ფაქტით, მისცეს მასსას ერთი იდეა. ამნაირად, პროპაგანდით მრავალი იდეები ეძლევა ცოტა-რიცხოვან აუდიტორიას, აგიტაციით კი ერთი იდეა მრავალ-რიცხოვან მასსას.

ვინაიდან ერთი მხრით არსებობს მრავალი იდეები და მცირე-რიცხოვანთა კრებული, რომელსაც ეს იდეია გადაეცემა, და მეორე მხრით—ერთი იდეია და მრავალ-რიცხოვანი მასსა, ცხადია, რომ განსხვავება თემაში კი არ არსებობს, არამედ განსხვავებაა მეთოდებში და მეცადინეობის ხანგრძლივობაში.

რაც შეეხება აგიტაციის ამოცანებს ჩვენში დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში, მათი გამოცნობისათვის ცხადია, ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ შემდეგ კითხვას: „როგორია აგიტაციის ამოცანები საბჭოთა რუსეთში და როგორი უნდა იყოს საქართველოში?

რამდენად საბჭოთა რესპუბლიკებში ერთნაირი სახელმწიფოებრივი მმართველობა არსებობს, რამდენად საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფლებას სათავეში უდგანან მუშები და გლეხები, ერთი მხრით, მეორე მხრით კი, საქართველო ისეთივე გლეხური ქვეყანაა, როგორც რუსეთი, სადაც არ არსებობს მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, რასაკვირველია, აგიტაციის ამოცანები იქაც და აქაც ერთნაირია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენში ამის გამო, რომ საბჭოთა ძალაუფლება გვიან დამყარდა, მას ერთი წლის ისტორიაც არა აქვს—საგიტაციო მუშაობას ჩვენში უფრო მძიმე პირობებში მოუხდება გატარება, ვინემ საბჭოთა რუსეთში, რომელმაც ოთხი წლის არსებობისა და ბრძოლის თავი ერთი თვის წინედ იდღესასწაულა.

როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც შინაური კონტრ-რევოლიუცია განადგურებულია. რუსეთში წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, მენშევიკები, ესერები და სხვა, რომლებიც სულისჩამდგმელნი იყვნენ კონტრ-რევოლიუციისა., უკვე გაჰქრნენ პოლიტიკურ ჰორიზონტზე.

სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოში. მენშევიკების პარტიას, რომელსაც სამი წლის განმავლობაში შეძლება ჰქონდა ჩაენერგა ფართო მასისათვის ჩვენი პარტიისადმი სიძულვილი და წვრილი-ბურჟუაზიული იდეოლოგის საწამლავით მოეწამლა ის, ჯერ კიდევ აქა-იქ, მასის ჩამორჩენილ ნაწილებში მთლად არ დაუკარგავთ გავლენა. ჩვენი აგიტაციის დანიშნულებას შეადგენს, რომ მოწამლულ მასსას მიაწოდოს განსაკუთრებული საშუალება. ამ მიზნით უნდა შევიჭრათ მასაში და ჩვენი აგიტაცია უნდა მდგომარეობდეს არა მარტო იმაში, რომ ნათელვყოთ, თუ რა პოლიტიკურ როლებს თამაშობენ ბურჟუაზიულ-მეშჩანური პარტიები, არამედ იმაშიაც, თუ როგორ მრღვეველ როლს ასრულებენ ისინი ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ჩვენი აგიტაცია ცოცხალი მაგალითებით და დაურღვეველ ფაქტებით უნდა აცნობდეს მასსას იმ პოლიტიკას, რომელსაც ისინი ეწეოდნენ ევროპიულ იმპერიალისტურ რეაქციასთან მუშათა და გლეხთა რევოლიუციის წინააღმდეგ, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში. ჩვენ უნდა მივუთითოთ მენშევიკების ბურჟუაზიულ ეკონომიკაზე, რომლითაც სრულიად არ ვითარდებოდენ წარმოებითი ძალები და მშრომელთა მასსები განიცდიდენ საშინელ მძიმე პირობებს. ჩვენმა აგიტაციამ უნდა მიუთითოს მასსას მენშევიკების აგრარულ რეფორმებზე, მათ იმპერიალისტურ ზრახვებზე ნაციონალურ კითხვების გადაჭრაში, შინაურ და გარეშე პოლიტიკაზე და სხვა.

რაც შეეხება გარეშე კონტრ-რევოლიუციას, საჭიროა გაეცნოს ფართო მასსა იმას, რომ სამხედრო ფრონტების გაუქმებით სრულებით არ უქმდება ცალკე ქვეყნების ინტერვენციული ზრახვები, რომლებიც ლამობენ თავს დაესხნენ საბჭოთა რესპუბლიკებს.

უნდა ეკონომიურ დარგში ჩვენი აგიტაცია უწევდეს ანგარიშს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ტ ამ პოლიტიკის მეოხებით სახელმწიფო მეურნეობის სფეროს შევიწროებას და კერძო მეურნეობის ზრდას.

საგიტაციო აპარატები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ, სადაც წარმოება ჩნდება, იქავე უნდა ტრიალებდეს მათი ჩარხები, დღეს მაგალითად სასურსათო კამპანია წარმოებს, ჩვენ უნდა მხარში ვედგეთ სასურსათო კომისარიატს, ხვალ სასოფლო მეურნეობის კამპანიაა—ჩვენ ხელი უნდა გაუწოდოთ სამიწათ-მოქმედო კომისარიატს და ასე ჩვენ უნდა ვიყოთ ყოველთვის მზათ და ყველასთან შეკავშირებული.

ჩვენ უნდა აუხსნათ მასსას ახალი ეკონომიური პოლიტიკის შინაარსი მისი გამომწვევი მიზეზები და მნიშვნელობა.

საგიტაციო მუშაობა უნდა წარმოებდეს სამი მიმართულებით: მუშაობა სოფლის მუშებში, წითელ ლაშქარში და პროლეტარიატ შორის. საგიტაციო მუშაობა გლეხებში უნდა შეიცავდეს ყველა მორიგ კამპანიებს, რომლებიც ეხება სასურსათო გადასახადს, შრომის ბეგარას და სასოფლო მეურნეობას.

ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მუშაობისათვის გლეხობაზე ვილაპარაკოთ როგორც მთლიან ერთეულზე, არა მარტო იმიტომ რომ ის იყოფა ღარიბ, საშვალო და მდიდარ გლეხებათ, არამედ იმიტომაც, რომ ტერიტორიალური მდგომარეობით გლეხობა შეიძლება სხვა და სხვა კუთხეში ჩვენი ქვეყნისა სხვა და სხვა პირობებში იმყოფებოდეს. მაგალითად ყოვლად შეუძლებელია აგიტაციის ერთნაირი მეთოდით მიუდგეთ მოუსავლიან და მოსავლიან გლეხობას. გარდა ამისა, რასაკვირველია, უპირატესობა უნდა მიეცეს კოლექტიურ სახოფლომეურნეობას ინდივიდუალურ მეურნეობის წინაშე, მაგრამ ამის შესახებ აგიტაცია შერჩეულ დროს უნდა წარმოებდეს, ესე იგი მაშინ, როცა გლეხს შესაფერი სულიერი განწყობილება მოეპოვება, საჭიროა აგიტაცია წვრილ კერძო გლეხურ მეურნეობის ამაღლებისათვის. უმიწაწყლო გლეხების საწარმოვო არტელებში, სამანქანო ამხანაგობებში ჩაბმის შესახებ და სხვ. რაც შეეხება წითელ ჯარში აგიტაციას, ის უნდა შეეფერებოდეს მის გლეხურ შემადგენლობის სულისკვეთებას და მისწრაფებებს.

წითელ ჯარში სასოფლო მეურნეობის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა უნდა იქნას ფართოთ გაცნობილი, პროლეტარტებ შორის აგიტაციის ცენტრათ უნდა იქნას წარმოების საკითხები—ეკონომია სურათის მხრივ, ეკონომია სათბობი მასალებისა და სხვ. მასთან საჭიროა გაღვიძება პროლეტარიატში კლასობრივი ბრძოლის შენარჩუნებისა და შიში წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიაში გათქვეფის. აქ საჭიროა მიეცეს პროლეტარულ მასას გარკვეული პერსპექტივები ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობის. საგიტაციო მუშაობისათვის პროლეტარული მასსა უნდა დაიყოს 3 ნაწილად: ერთი მხრით ჩვენი უნდა დაგვირჩეს სახელმწიფო სოციალისტური მეურნეობა, რომელიც აქტიურათ მონაწილეობს ჩვენი მეურნეობის კომუნისტურად აღმშენებლობაში. ჩვენი მუშაობა უნდა იყოს მიმართული სოციალისტური ფაბრიკის პროლეტარიატის კლასიურ—გამოღვიძების და აღორძინებისათვის, რომელიც უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში კლასიურად ჩამოქვეითდა, მეორე ნაწილი პროლეტარიატსა ის ნაწილია, რომელიც თვითონ ღებულობს იჯარით წვრილ საწარმოვო დაწესებულებებს არტელის ნიადაგზე აქ ჩვენ საქმე გვექნება წვრილ მეურნეობის პსიხოლოგიასთან და ამიტომ ამ ნაწილზე დაყრდნობა ჩვენთვის არ იქნება ხელსაყრელი. მათშორის ჩვენს აგიტაციას უნდა დაურჩეს პოლიტიკური აღზრდის ხასიათი, მესამე ნაწილია პროლეტარიატის, რომელიც მუშაობას ეწევა იჯარით აღებულ კერძო საწარმოვო და კოოპერატიულ დაწესებულებებში, პროლეტარიატის ამ ნაწილისათვის წარმოების გადიდების ინტერესი სახელმწიფოს სარგებლობისათვის უკანა რიგში დგას, აქ აგიტაციის წარმოებას თითქმის არავითარი გასავალი არ ექნება. ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ აგიტაცია იმის და მიხედვით, თუ პროლეტარიატის რომელ ნაწილთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება აგიტაციის ფორმებს და მეთოდებს, უნდა ითქვას, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო, საჭიროა შეცვლა აგიტაციის მეთოდების, პირობებისა და გარემოების შეცვლის მიხედვით, ეს მეთოდები უნდა შეეფარდებოდეს მუშების, გლეხების და წითელ არმიელთა პსიხოლოგიურ მდგომარეობას, როგორითაც არ უნდა იცვლებოდეს აგიტაცია თავის ლოზუნგებში, ზოგად პირობებათ მისი წარმოებით ჩატარებისა უნდა დარჩეს ნაკლები ფრაზეოლოგია და ფაქტიურ მასალებზე დამყარება. აგიტაცია უნდა იყოს შინაარსიანი, აგიტატორს უნდა შეეძლოს მასის დარწმუნება ციფრებით, და ილიუსტრაციებით, აგიტატორი უნდა იყოს მცოდნე სტატისტიკისა. საუკეთესო ფორმები აგიტაციისა არის: სატირა სცენაზე, შრომის გმირთა დღეობა, ზეპირი გაზეთი და საერთოთ მხატვრული აგიტაცია. ყველა ამ ფორმებით უნდა ვისარგებლოთ პოლიტიკურ მიტინგების ხარჯზე.

მასიურ აგიტაციაში ღირსეულ როლს ასრულებს პრესა, რომლის აქტივობის გაძლიერებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, პრესა უნდა გახდეს პოპულიარული, ამიტომ საჭიროა სპეციალური ბიულეტენების გამოცემა, რომელშიაც მოთავსდება საყურადღებო თეზისები, წერილები და კონსპექტები.

საჭიროა გადაიშინჯოს აგიტატორების შემადგენლობა, რომელთაც უნდა წარედგინოს დიდი მოთხოვნილებები, ამიტომ საჭიროა შედგენა საგიტაციო წრეებისა და კლუბების, უნდა მიექცეს ყურადღება საგიტაციო ლიტერატურის გამოცემლობას. მორიგ კამპანიათა შორის უდნა აღინიშნოს შემდეგი კამპანიები: 1) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია, 2) ახალი ეკონომიურ პოლიტიკა, 3) მუშათა კოოპერაცია.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის» შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების

საავათმყოფო კასების გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს

შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.

შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.

2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები. **გამგეობა.**

პურის მიღების წესი

დაწესებულებათა და წარმოებათა მიერ, რომელნიც დატოვებულნი არიან სახელმწიფო მომარაგებაზე.

საქმეთა სამმართველო, სახალხო კომისარიატის ან ცენტრალურ დაწესებულების, ადგენს ცალკე თავიანთვის და ყოველივე მათ უწყებაში მყოფ წარმოება-დაწესებულებათა მოთხოვნილებებს, რომელნიც მისგან კერძოთ არიან დაბინადრებული და სხვა და სხვა ჯგუფებზე მიწერილნი. მოთხოვნილება უნდა შედგენილი იყვეს თანამშრომელთა რიცხვის მიხედვით თითოზე 2 ნახევ. გირვ. პურის ანგარიშით და ასეთები გადაცემულ უნდა იქნეს ქალაქის სასურკომთან არსებულ საბარათო ბიუროში სათანადო ჯგუფების წარმომადგენელთა საშუალებით.

სახსასურკომი: **ერქომაიშვილი.**

განმანაწილებელი სამმართველოს უფროსი: **სტურუა.**

16 დეკემბერი 1921 წ.

წარმოებები და დაწესებულებანი, გადაყვანილნი სამეურნეო წესზე,

ვალდებულნი არიან დაუყონებრივ წარმოადგინონ სახალხო სასურსათო კომისარიატის სახელმწიფო-საგეგმო კომისიაში ცნობები ასეთი წარმოებების და მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ თვითეულ ასეთ წარმოებებში და მათი მისამართები.

სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ერქომაიშვილი.**

პარტიული

დღეს, საღამოს 5 საათზე, მე-4 რაიკომის ბინაზე შესდგება უჯრედების პასუხისმგებელ მდივნების და რაიონიწადმი მიჩენილ ამხანაგების შეერთებული სხდომა.

მე-4 რაიონის ბიურო წინადადებას აძლევს შემდეგი ამხანაგებს გამოცხადდენ მდივნების თათბირზე:

ქავთარაძე, ბახუტოვი, ჭოჭიკაშვილი, ბიბინეიშვილი, რკოლოვსკი, მელიკ-ალავერდოვა, ჭანტურია, ის. თალაკვაძე, ვლად. მაშკევიჩი, ბროდსკი, ალ. გეგეჭკორი, დ. კანდელაკი, ასტახოვი, ნიკო ოკუჯავა, კოსტანდიანი, გერმან კვაჭაძე, გრიგ. მახარაძე, სილბისტრო თოდრია.

პასუხ. მდივანი **დ. ბურჯანაძე.**

—სამშაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ს. პ. კ. ს. პატარა დარბაზში შესდგება სხდომა საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წევრ. საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის წევრებისა. დღის წესრიგში სდგას მეტად საჭირო კითხვები. ამიტომ გთხოვთ აცნობოთ ყველა კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის წევრებს მომუშავეთ თქვენს დაწესებულებაში.

საბჭოთა.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ 24 დეკემბერს დღით 12 საათზე ფ.-ტ. კომისარიატის შენობაში (რუსთაველის ქუჩა № 43) მოხდება განმეორებითი შეჯიბრება საქართველოს სამხედრო გზაზე (მცხეთა ყაზბეგამდე და უკან) ფოსტების გადაზიდვის იჯარით გაცემის შესახებ. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ თან უნდა ექნეს გირაო, მესამედი ნაწილი განცხადებულ ქირისა ფულათ ან შესაფერი უძრავი ქონების საბუთებით.

იჯარის ამღებს შეუძლია აწარმოოს მიმოსვლა როგორც ცხენებით ისე ავტომობილით. ამ საქმის შესახებ ყოველივე ცნობებს მსურველები მიიღებენ ზევით დასახელებულ კომისარიატის საფოსტო განყოფილებაში.

ფ.-ტ. სახკომისარის მაგ. **წერეთელი.**

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.